ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲨᲘ:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 10
(11 467)

6 – 8 თებერვალი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ფეხბურთი — ინტერნეტში!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პირველი ფედერაციაა საქართველოდან, რომელმაც თავისი საიტი შექმნა ინტერნეტში, რითაც მთელ მსოფლიოს მიეცა შესაძლებლობა გაეცნოს ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას, მის ისტორიას, აწმყოს, ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს, კლუბებს, ფეხბურთელებს და ა.შ.

მარტო საიტის გახსნის პირველ დღეს ათასზე მეტმა მომხმარებელმა ისარგებლა მისი მომსახურებით. სფფ შეუწყვეტლივ იღებს მადლობებს ფეხბურთის გულშემატკივრებისგან ინტერნეტში საიტის გახსნასთან დაკავშირებით. გთავაზობთ მისამართს: WWW. GFF. GE

## ვალერი ლობანოვსკი: თბილისში ლეგიონერების გარეშე ჩავალთ, ეს იქნება კიევის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" ნაკრები

***გუშინ კიევის „დინამოს" სავარჯიშო ბაზა „კონჩა-ზასპეში" უკრაინის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ პრესკონფერენცია გამართა და შეეხო იმ ფეხბურთელების ვინაობას, ვის ჩამოყვანასაც ვარაუდობს თბილისში.***


*ვალერი ლობანოვსკი*

— საქართველოს წინააღმდეგ ლეგიონერების გარეშე ვითამაშებთ, ვინაიდან მათი გამოძახების ლიმიტი არ გვაძლევს ამის საშუალებას. გადავწყვიტეთ საქართველოში წავიყვანოთ კიევის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორის" ნაკრები. მეშახტეები კიევში ჩამოვლენ 12 თებერვალს, მეორე დღეს დილიდან ორივე გუნდს შევაერთებთ და თბილისში გავფრინდებით.

● ***ახალ სახელებს თუ ვიხილავთ ნაკრებში?***

— ჩემი მხრიდან ახალი გვარების დასახელება არაკორექტული იქნება. თანაშემწე ლეონიდ ბურიაკი ამჟამად არაბეთის ემირატებშია, იგი თვალყურს ადევნებს ოდესის „ჩერნომორეცის" რამდენიმე ფეხბურთელს.

● ***ნუთუ არ შეიძლება ისინი თბილისში წაიყვანოთ სათამაშოდ?***

— გვინდოდა მოსკოვის „სპარტაკში" ჩარიცხული გრანოვსკის გამოძახება, მაგრამ ეს კლუბი ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვის ემზადება. ამიტომ, ვიმეორებ, თბილისში მხოლოდ კიევისა და დონეცკის გუნდების ნაკრები გაემგზავრება.

საქართველოს ჭიდაობის
ეროვნული ფედერაცია
11-12 თებერვალი
2001 წლის
საქართველოს
ეროვნული ჩემპიონატი
თავისუფალ ჭიდაობაში

11. თებერვალი: წინასწარი შეხვედრები 11.00.
საზეიმო გახსნა 17.00
12 თებერვალი: წინასწარი შეხვედრები 11.00; ფინალური შეხვედრები 16.00.
მისამართი. ქ. თბილისი
უნივერსიტეტის ქ №2
არმიის სპორტული კომპლექსი

ჩემპიონატის სპონსორებია:
სს „ქართული შაქარი",
ს.ს. „სამორინე აჭარა", შ.პ.ს.
„ნიკალა". ს.ს. „ბადიაური".

## კახი კალაძე ბრწყინვალეა!



3

«მილანი» — «რეჯინა». მილანელებმა პელეგმა (№2) და კალაძემ (მარცხნივ) მეტოქის არაერთი შეტევა გააუვნებელყვეს

## „ვიტ ჯორჯია" „NORCIA CUP"-ის მეოთხედფინალშია

***საქართველოს შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია", რომელიც სეზონის განახლების წინ იტალიის ქალაქ ნორჩიას საერთაშორისო ტურნირში გამოდის, მეოთხედფინალში დღეს ბულგარეთის „ლიტექსს" შეხვდება.***

თბილისელებმა ჯერ ასტრონომიული ანგარიშით შვეიცარიის „არაუს" მეორე შემადგენლობას სძლიეს 15-1, მეორე მატჩში იტალიის „ასკოლისაც" გაუსწორდნენ 6-0. მიუხედავად იმისა, რომ მესამე შეხვედრა ვეტერინარებმა წააგეს რუმინეთის „სტიაუასთან" 0-1, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

## ეშველა, პრობლემებით დაღლილ „დინამოს"?

დასრულდება თუ არა თბილისის „დინამოს" ირგვლივ ბოლო წლებში ატეხილი აჟიოტაჟი და გამოვა თუ არა საბოლოოდ ღირსეულად სახელოვანი ტრადიციების ეს საფეხბურთო კლუბი შექმნილი ვითარებიდან? არადა, ვნებათაღელვამ, ყველამ კარგად იცის, კულმინაციას მიაღწია – ერთმანეთს დაემთხვა და ერთმანეთს გადაეჯაჭვა მთელი რიგი პრობლემები – გნებავთ, კლუბის არალეგიტიმურობა აიღეთ, გნებავთ, „მრეტების" ვალები, გნებავთ, გუნდის ყოფითი პირობები და ა.შ. და ა.შ.

სულ მალე, 12 თებერვალს, ის ვადა იწურება, როცა ფიფას მოთხოვნით „მრეტების" ვალი 240 ათასი აშშ დოლარი და ფიფას მიერ დაწესებული საჯარიმო სანქცია „დინამომ" აუცილებლად უნდა გა-

იხ. მე–3 გვ.

## ფოსტაო ახლო ხედით!



4


*დათო კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი*

2

## სპორტულ ცეკვებს ჩვენშიც ჰყავს მოყვარულები

## პოლანდიელთა მძლეველი ქართველი მორაგბეები, 17 თებერვალს, პორტუგალიელებს თბილისში უმასპინძლებენ



2,7



2

## რით ცოცხლობს ქართული ფარიკაობა?

**გუშინ:** საბერძნეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. აეკი — ათინაიკოსი 2-1.

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

**ოლიმპიზმი.** გუშინ, ჩინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ეხება 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ოლიმპიური ცეცხლი გაივლის აბრეშუმის დიდი გზის მარშრუტით. სატრანსპორტო საშუალებად გამოიყენებენ ავტომობილებს, მატარებელს, თვითმფრინავს, გემს, ცხენებს და... აქლემებსაც კი. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს რეალობად იქცევა, იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს.

**ველორბოლა.** ავსტრალიელმა მეტიუ ჰემანმა, რომელიც „რაბობანკის" გუნდის სახელს იცავს, მრავალდღიანი ველორბოლა „Challege mallorca"-ს მეორე ეტაპი მოიგო.

**ნუმიზმატიკა.** თურქეთში დამზადებულია მონეტები, რომელიც მიეძღვნა სტამბულის „გალათასარაის" გამარჯვებას უეფას თასზე.

**ტრაგედია.** ავსტრიელ ტრამპლინიდან თხილამურებით მხტომელთა ცნობილი მწვრთნელი ალიოზ ლიპბურგერი, გუშინ, მსოფლიო თასის გათამაშებიდან შინ დაბრუნებისას გერმანიის ქალაქ ვილინგენსში ავტოკატასტროფაში მოჰყვა და ადგილზევე დაიღუპა.

**გუშინ.** ბრიტანეთის ფეხბურთის ლეგენდა, ჯორჯ ბესტი ბელფასტში საავადმყოფოში ისევ მოხვდა პნევმონიის დიაგნოზით.

**ფეხბურთი.** ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა არ მიიღო არიგო საკის წინადადება სათავეში ჩადგომოდა „პარმას".

● ახლო მომავალში ალმა-ათის ორი საფეხბურთო გუნდი ცნობილი კლუბის „კაირატის" სახელით გაერთიანდება.

## რონალდოსაც ძარცვავენ!



გუშინ რიო-დე-ჟანეიროში გაძარცვეს მილანის „ინტერისა" და ბრაზილიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების სახელგანთქმულ თავდამსხმელი რონალდო. ხუთმა შეიარაღებულმა ახალგაზრდა კაცმა იგი ავტომანქანა BMB-დან გადმოსვა, გაძარცვა და მისივე მანქანით გაუჩინარდა.

# უზბიდან დანახული ახალი საუკუნე



რა უფრო ძნელია დალაშქრო მწვერვალი თუ უკვე იქიდან დაბრუნებულმა მოჰყვე ამბავი. როგორც წესი, ნამდვილი მთამსვლელები „მიუნჰაუზენური ისტორიების“ მოყოლას თავს არიდებენ – ნებისმიერი მარშრუტი მათი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ცხოვრებისეულ დეტალებზე კი ალბათ, როგორც ყველა, ისინიც იშვიათად საუბრობენ...

– აბა რა მოვყვე? უშბაზე სამხრეთ აღმოსავლეთი კედლით, 5-B სირთულით ავედით, – როგორც იქნა, თხრობას იწყებს ბიძინა გუჯაბიძე, – ეს მარშრუტი პირველად 1935 წელს გაბრიელ ხერგიანმა გაიარა. უშბას წვერზე ეს ყველაზე ლოგიკური და უსაფრთხო გზაა.

1935 წლიდან მოყოლებული ამ გზით ბევრი ექსპედიცია ასულა უშბაზე და აი, 1984 წელს გადაწყდა უშბას სამხრეთ აღმოსავლეთი კედელი ზამთრის პირობებშიც გაევლოთ. სპორტსაზოგადოება „განთიადმა“ მაშინ სვანეთში საკმაოდ დიდი ექსპედიცია გაგზავნა.

– მწვერვალისაკენ ერთდროულად ორი ჯგუფი გავიდა. როგორც მოგვიანებით, უფრო ზუსტად კი მას შემდეგ რაც I ჯგუფი ბანაკში დაბრუნდა, მივხვდით, რომ მეორე ექვსეულს რაღაც პრობლემები შეექმნა.

რა მოხდა, კაცმა არ იცოდა. ამ ამბის გახსენება დღესაც ყველას უჭირს. დაკარგული ექვსი კაცის საძებნელად გასულ ჯგუფში იყო ბიძინა გუჯაბიძეც. პირველივე დღეს სამი დაღუპული მთამსვლელი იპოვეს. კიდევ ორ დღეში – დანარჩენი სამი. 1984 წელს „გაბრიელის მარშრუტზე“ მომხდარ ტრაგედიას ექვსი ალპინისტი: ირაკლი გელდიაშვილი, გოგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, მურად ჭიჭინაძე, დათო კობახიძე და გია თუშური ემსხვერპლა.

5 წლის შემდეგ, 1989 წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდთან ერთად ბიძინა გუჯაბიძე, სანდრო კობაიძე, ვანო ვაშაყმაძე, თორნიკე ბერიშვილი, ლევ სარქისოვი, მალხაზ ცირეკიძე და დავით რაქვიაშვილი უშბას წვერზე, ზამთარში, იმ „ავბედითი“ სამხრეთ აღმოსავლეთი კედლით ავიდნენ. ეს ექსპედიცია მათ „გაბრიელის მარშრუტზე“ დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნეს.

კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, 1998 წელს, ქართველ ალპინისტთა ოთხკაციანმა ჯგუფმა კვლავ ერთხელ სცადა უშბა „სამხრეთ-აღმოსავლეთი“ კედლით დაელაშქრა.

– ეს ექსპედიცია თებერვალში მოეწყო, – საუბარში მერაბ ხაბაზიც ჩაერთო, – წყვილებად ვმოძრაობდით, წინ ბიძინა და აფი გიგანი იყვნენ, შემდეგ მე და ირაკლი უგულავა. ისე მოხდა, რომ თოვლის ფერდი მოვწყვიტე და ზვავი ხელოვნურად გამოვიწვიე... მოკლედ, 70 მეტრი ვისრიალე და „ჩუქჩას“ (ირაკლი უგულავა) გვერდით დავეცი. ფეხი მოვიტეხე.

– ბუნებრივია, ყველა უკან დავბრუნდით, – ამბობს ბიძინა, – თუმცა მაშინვე გადაწყდა, რომ ამ მარშრუტს ისევ დავუბრუნდებოდით (?).

თუმცა ვიდრე ალპინისტები „გაბრიელის მარშრუტს“ დაუბრუნდებოდნენ, მათ ჰიმალაები გადასერეს.

– ისე, რაღა დასამალია, 1998 წლის მერე თუ სადმე ავსულვართ, ყოველივე უშბას ექსპედიციისათვის სამზადისი იყო.

2001 წლის 10 იანვარს ბიძინა გუჯაბიძე, მერაბ ხაბაზი, აფი გიგანი და მამუკა ციხისელი (გუნდში, როგორც ხედავთ 1998 წლისაგან განსხვავებით მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა) ზემო სვანეთში გაემგზავრნენ. 11 იანვარს ისინი უკვე ბეჩოში, სოფელ ბაგდანარიში იყვნენ.

– საკმაოდ ცუდი ამინდი დაგვიხვდა, – იხსენებს ბიძინა, – ჩვენმა მასპინძელმა შალვა კვიციანმა ესაო და, ახალი წელი მოდის, რა დროს მწვერვალიაო... მერე 15 იანვარი ორშაბათიაო და, მოკლედ, 16 იანვარს, როგორც იქნა დავიძარით.

– 16 იანვარი, ჩვენ 2400 მეტრ სიმაღლეზე ვჩერდებით – მერაბ ხაბაზი მაქსიმალური სიზუსტით ცდილობს ყოველი ნაბიჯის გახსენებას, თუმცა, ე.წ. სტატისტიკური მონაცემების გარდა, მერაბიც და ბიძინაც საკმაოდ სიტყვაძუნწები არიან – 17-ში ძირი – 2900 მეტრი, 18-ში პირველი ბანაკი - ქედი 3500 მეტრი, 19-ში მეორე ბანაკი – დაფის ქვეშ, 3800 მეტრი, 20-ში მესამე ბანაკი – კედლის ქვეშ, 4300 მეტრი, 21-ში მეოთხე, ბოლო ბანაკი კედლის თავზე 4500 მეტრამდე და ბოლოს 22 იანვარი იერიში წვერზე, რომლის სიმაღლეა 4710 მეტრი.

– ალბათ უნდა ითქვას, რომ 16 იანვრიდან ამინდმაც შეგვიწყო ხელი – ჰყვება ბიძინა – ამინდის გაუარესება, მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა დაშვება დავიწყეთ. სხვათა შორის, საკმაოდ სწრაფად დავეშვით. 22 იანვარს უშბას წვერიდან 4100 მეტრზე, გავჩერდით. 23-ში ძირამდე და იმავე დღეს სოფელშიც ჩავედით.

აი, ასეთი საუბარი შედგა ბიძინასთან და მერაბთან. მთამსვლელები ცდილობდნენ სირთულეებზე და პრობლემებზე ნაკლებად ესაუბრათ. ერთადერთი ალბათ, რასაც ისინი უჩიოდნენ, მოკლე დღე და ზამთრისათვის დამახასიათებლად – უფრო ბევრი ბარგი იყო. სხვათა შორის, არც მერაბი და არც ბიძინა, სამომავლო გეგმებზე არ ლაპარაკობენ. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ „K-2“-ზე, „მაკალუზე“ და „ტრანგრზე“? ფიქრობენ.

– „ლხოცზე“ რუსები აპირებენ წასვლას, – ამბობს ბიძინა, ჩვენ....

.... ჩვენ როგორც ყოველთვის, ფინანსები არ გვაქვს. თუმცა ქართველ მთამსვლელებს სჯერათ, რომ კეითლი ადამიანები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც მთა უყვართ, ჯერჯერობით არ გამოლეულან.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ დასრულდა უშბაზე ლაშქრობა. ბეჩოდან წასულ ოთხეულს თურმე 7 დღის მანძილზე დურბინდებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელესკოპებითაც კი ადევნებდა თვალს ადგილობრივი მოსახლეობა. თუ გავითვალისწინებთ მაყურებელთა სიმცირეს სტადიონებზე, ქართულმა ალპინიზმმა შეიძლება გულშემატკივართა სიუხვითაც იამაყოს. სწორედ ამ გულშემატკივრებმა, ბეჩოში დაბრუნებულ მთამსვლელებს ისეთი ნადიმი მოუწყვეს, მეფეებიც ვერ დაიწუნებდნენ.

თამუნა ჯიშკარიანი

# ჩვენი ფარიკაობა საკუთარი ჯიბით იხანგრძლივებს სიცოცხლეს

20-24 თებერვალს ირანის ქალაქი იაზდი მოფარიკავეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ ასპარეზობისთვის საქართველოს სპორტსმენთა შერჩევას ისახავდა მიზნად ამ დღეებში თბილისში გამართული ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი, რომელშიაც თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის და რუსთავის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრება ფედერაციისა და მოფარიკავეთა საკუთარი ხარჯებით ჩატარდა. ნაკრები ირანშიც საკუთარი ფულით გაემგზავრება.

**კვარცხლბეკი.** ***ხმალი:*** 1. დავით მთვარელიძე (თბ. მწვრთნელი თ. კაკულია), 2. გერონტი ცირდავა (აფხ.), 3. გურამ ჩხეიძე და გიორგი აირაპეტიანი (ორივე – თბ). ***რაპირა. ვაჟები:*** 1. ოლეგ ჩერნიშოვი (თბ. მწვ. ლ. ლალანიძე), 2. თემურ გორდაძე (ქუთ.), 3. ირაკლი ჰელიძე (ბათ.) და აკაკი ჯიქია (ქუთ.). ***ქალები:*** 1. რუსუდან საფარიძე (ბათ. მწვ. გ. საფარიძე), 2. ნატო კობიაშვილი (თბ), 3. ლიკა გვანცელაძე და ნონა გოტიაშვილი (ორივე – ქუთ); ***დაშნა. ვაჟები:*** 1. ლაშა სოფრომაძე (მწვ. ნ. დიდია), 2. შალვა კოკოჩაშვილი, 3. ალეკო ზახაშვილი და გიორგი თავართქილაძე (ყველა – თბ.); ***ქალები:*** 1. ანა აბრამიშვილი (ქუთ. მწვ. თ. ოყროშიძე), 2. რუსუდან გოგიავა (ბათ), 3. ნატო მაღლაფერიძე (ქუთ) და სალომე დიდია (თბ).





*სურათებზე: ზემოთ (მარცხნიდან) – ლაშა სოფრომაძე, შალვა კოკოჩაშვილი, გიორგი თავართქილაძე, ალექსანდრე ზახაშვილი; ქვემოთ – ოლეგ ჩერნიშოვი*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*

# მცხეთის რჩეულნი

მცხეთიდან მიღებული ინფორმაციით აქ გამოავლინეს 2000 წლის სპორტულ სეზონში რაიონის საუკეთესო სპორტსმენები, გუნდები და მწვრთნელები.

***საუკეთესო სპორტსმენები:*** 1. არჩილ ჩოხელი (სამბო), 2. მირიან პავლიაშვილი (ძიუდო), 3. ნოდარ ჭინჭარაშვილი (ძიუდო);

***საუკეთესო მწვრთნელები:*** 1. ზაურ პავლიაშვილი, 2. გენადი გიორგაძე, 3. ანატოლი ოლეინიკი;

***საუკეთესო გუნდები:*** 1. სოფ. ძალისის ქართული ჭიდაობის ნაკრები გუნდი, 2. მუხრანის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, 3. სადგურის უბნის მინიფეხბურთელთა გუნდი.

# წოდების მინიჭება

საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და სპორტის მასობრივი სახეობების ეროვნულმა ფედერაციამ პოლიატლონში ეროვნული კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა:

***მერაბ მაისურაძეს***
***ტარიელ ორდინიძეს***
***ანზორ ახალკაცს***
***ნუხა გაგოშიძეს***

**რაგბი ● 2001-02 წლების «ევროპის ერთა თასის» გათამაშების საწყისი მატჩები**

# ფრიადი გამარჯვება ჰოლანდიურ თოშში

**2001-02 წლების „ევროპის ერთა თასის“ გათამაშების საწყის მატჩში საქართველოს რაგბის ნაკრებმა კვირას, 4 თებერვალს, ამსტერდამში დამაჯერებლად, 32:3 დაამარცხა მასპინძელი ჰოლანდია და პირველი ნაბიჯი გადადგა 2003 წლის მსოფლიო თასის ფინალური სტადიისკენ მიმავალ გზაზე. ამავე დღეს სტუმრადვე იმარჯვეს „ბორჯღალოსანთა“ ძირითადმა კონკურენტებმაც: რუმინეთმა ლისაბონში გაანადგურა პორტუგალია 47:0, ხოლო რუსეთმა მადრიდში მატჩის ბოლოსდა ერთი ქულით სძლია ესპანეთს 30:29.**

**ჰოლანდია – საქართველო 3:32 (3:13)** ამსტერდამი. რაგბის ეროვნული ცენტრი (1 200 მაყურებელი)

**ჰოლანდია:** (15-9) ფიხურსი; ფანდერპოლი, სტრააცი, ზ.ვინკელსი, ლიპსი (ნახტეხაალი); დესხუტერი, რამაკერი; (1-8) ბუი, საფი, ბეილი; ფანჰირდენი (ბრუეიმანსი), შუმახერი (კაპ); კულემანსი, მასტი, ფერსტეინენი, ს. ფიხურსი.

**საქართველო:** (15-9) აბაშიძე; ლაბაძე, ზიბზივაძე, ალანია, კაცაძე (ქავთარაშვილი, ბუგიანიშვილი, ხეხელაშვილი); ჯიმშელაძე, აბუსერიძე; (1-8) მთიულიშვილი (რატიანიძე), შველიძე (გიორგაძე), ცაბაძე; დიდებულიძე, ნადირაძე; ბოლღაშვილი (ჯაველიძე), იაშვილი, ზედგენიძე - 4ლ: იაშვილი, დიდებულიძე (2), ხეხელაშვილი; 3გ და 2ს: ჯიმშელაძე მსაჯები: ფაჩოლი, მილანი და მარიოტი (იტალია) ანგარიში - 0:3, 0:10, 3:10, 3:13; 3:18, 3:25, 3:32.

„ბორჯღალოსანთა“ ფრანგმა მწვრთნელმა, კლოდ სორელმა ჰოლანდიასთან შებმის წინ ფრიად წაიოინბაზა: გამოაცხადა ერთი შემადგენლობა, ათამაშა კი სულ სხვა. ამით, ვეჭვობთ, რომ მოტყუებულიყო მეტოქე, რომელსაც ჩვენები ძნელად რომ გვარებით სცნობოდა. სამაგიეროდ, ერთიანად გავბრიყვდით ქართული პრესა, რაკი მკითხველს ბითუმად წავაკითხეთ ჩვენს რჩეულ მორაგბეთა მცდარი სია. საზოგადოებამ თავად განსაჯოს: საზრიანმა მესიემ 22-კაცა რაზმში შეიყვანა ერთბაშად ხუთი მანამდე მოუხსენიებელი მორაგბე და სამ მათგანს თამაშიც დააწყებინა. გარდა ამისა, სორელმა ძირითადის სამი მოთამაშე რეზერვში გადასვა; მარქაფიდან, პირიქით, ერთბაშად ხუთი დააწინაურა; კიდევ სამ მოთამაშეს ამპლუა გამოუცვალა; ექვსი კაცი კი (მათ შორ-

*იხ. მე-7 გვ.*

**სპორტული ცეკვები საქართველოს ჩემპიონატი**

# გრაციის მოციქულები

გრაციის, სილამაზისა და ჰარმონიის დღესასწაულად იქცა საქართველოს 2001 წლის ჩემპიონატი სპორტულ ცეკვებში, რომელშიაც ქვეყნის რჩეული წყვილები მონაწილეობდნენ რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში. უფროსების პარალელურად ორგანიზატორებმა თავგამოჩენისა და გამოცდილების შეძენის შესაძლებლობა მისცეს ასაკით სულ პატარა, ახალბედების პროგრამით მოასპარეზე წყვილებსაც კი, რაც უდავოდ მისასალმებელია.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ***დამწყები მოცეკვავეები. 7-10 წლიანები:*** 1. ლევან ხოჭოლავა – ნინო გელაშვილი, 2. ოთარ ფოლადაშვილი – ქეთი ცხადაძე (ორივე – „ელეგია“), 3. ირაკლი გოლოძე – სონია გამიდოვა („თელა“). ***11-13 წლიანები:*** 1. დათო მაისურაძე – თინიკო ცხოვრებაძე, 2. ზურაბ შონია – თამუნა ფოლადაშვილი, 3. დათო ბერაძე – ნინო ქოროხაშვილი (სამივე – „ელეგია“).

***კატეგორია იუვენალ-1 (7-10 წ.). 7 ცეკვა:*** 1. რატი გაჩეჩილაძე – ქეთი ალავერდაშვილი, 2. კახი სანიკიძე – ნანო ზედაშიძე (ორივე – „თელა“), 3. ანზორ მისაბიშვილი – თამუნა ბოჩიკაშვილი („ვარკეთილი“). ***კატეგორია იუვინალ-2 (10-12 წ), 9 ცეკვა:*** 1. ნიკა გაჩავა – ლეილა ხურცილავა („თელა“), 2. გიორგი ბახუტაშვილი, ნათია მაისურაძე, 3. გიორგი მეგრელიშვილი – ნინო გადელია (ორივე – „ელეგია“); ***ჰობი კლასის კატეგორია:*** 1. დათო წიგნაძე – სოფიკო კუპრეიშვილი, 2. ირაკლი საბაძე – თიკო დავითაია (ორივე – „თელა“), 3. აჩიკო გელაშვილი – რუსუდან ცირეკიძე („გრაცია“).

გამარჯვებულთა და პრიზიორთა ხელმძღვანელები არიან: ს/კ „თელა“ – ლარისა და თენგიზ გაჩეჩილაძეები, ს/კ „ელეგია“ ელენე და გივი ორველაშვილები, ს/კ „ვარკეთილი“ – ეკატერინე და ზურაბ მეტრეველები, ს/კ „გრაცია“ – ზაზა ენუქიძე.



*შალვა ორველაშვილი და მკა კაჭკაჭიშვილი*

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები*



*რაფაელ ანანიკიანი და ლიკა ჭაბუკიანი თავის ხელმძღვანელთან ლარისა გაჩეჩილაძესთან ერთად*



*2000 წლის საქართველოს თასის მფლობელები ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში გიორგი ტაბატაძე და თათული გოგიაშვილი (საჩვენებელი გამოსვლა)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

# დებიუტი წარმატებული გამოდგა

## კახი კალაძე: „სათადარიგოთა სკამის სახეხად არ ჩამოვსულვარ „მილანში“!

**4 თებერვალს მილანის „სან-სიროს“ სტადიონზე მსოფლიოს უძლიერეს ლიგა — სერია A-ში შედგა ქართველი ლეგიონერის კახი კალაძის დებიუტი: მისი „მილანი“ ამ დღეს „რეჯინას“ ხვდებოდა.**

„როსონიეროთა“ დამრიგებლის ალბერტო ძაკერონის გამბედაობა დიდად დასაფასებელია — ერთი კვირის წინათ ნაყიდი ფეხბურთელი პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში დააყენა. ამ ნაბიჯმა გაამართლა და, როგორც 5 თებერვალს „გაძეტა დელო სპორტი“ ასკვნის, „სერია A“-ს კიდევ ერთი მაღალი პროფესიონალი ფეხბურთელი შეემატა“.

*მილანი. „სან-სიროს“ სტადიონი.*

**მილანი — რეჯინა 1–0**

**მილანი:** აბიატი; ქუნიორი, კალაძე, მალდინი; ჰელვეგი, ჯუნტი, ამბროზინი, სერჟინიო; ლეონარდო, ბირჰოფი, შევჩენკო.

**რეჯინა:** ტაბი, კანეირა, ვარგასი, ოშადოგანი, ვიკარი, მამედე, ბრევი, მორჯიტო, დიონიჯი, დაკოსტა, ზანმუხტა.

**გოლი:** ლეონარდო (79).

***„გაძეტა დელო სპორტი“:*** „ძაკერონიმ გუნდი ჩვეული სისტემით ათამაშა — 3-4-3. უჩვეულო ის იყო, რომ დაცვის ცენტრში მან დებიუტანტი კალაძე დააყენა. ექსპერიმენტმა გაამართლა — პირდაპირ საკვირველია, ასეთი აწყობილი დაცვა „მილანს“ დიდი ხანია არა ჰქონია. შეიძლება ითქვას, სამეული ქუნიორი-კალაძე-მალდინი — უშეცდომოდ თამაშობდა, ხოლო ერთხელ, 73-ე წუთზე დებიუტანტმა მეტოქე გუნდის ძალიან სახიფათო კონტრშეტევა გააუვნებელჰყო. ამან მილანელი ტიფოზების მოწონება დაიმსახურა და მატჩის ბოლომდე ისინი გამამხნევებელი შეძახილებით მიმართავდნენ კალაძეს...“

***„ტუტოსპორტი“:*** „მატჩის შემდეგ ბედნიერმა ქართველმა ლეგიონერმა პირდაპირ განაცხადა — სათადარიგოთა სკამის სახეხად არ ჩამოვსულვარ მილანში! მინდა მადლობა გადავუხადო ტიფოზებს, ისინი გულწრფელად მქომაგობდნენ. ჩემპიონთა ლიგის მატჩებში მე „სან-სიროს“ მსგავს სტადიონებზე არაერთხელ მითამაშია, ამიტომაც ძალიან არ ვღელავდი. გარდა ამისა, არც ცენტრალური მცველის საპასუხისმგებლო პოსტზე გამოსვლის შემშინება, მით უფრო, როდესაც იტალიური ენა არ ვიცი. პრობლემა არ არის, ხომ არსებობს უნივერსალური ენა — ფეხბურთის ენა“.



***„კორიერა დელო სპორტი“:*** „კახამ თავმდაბლად განაცხადა, რომ ამჟამად ჯერ არ არის ჩვეულ ფორმაში და ბევრი რამ კიდევ დასახვეწი აქვს...“

***„პაეზე სერა“:*** „ალბერტო ძაკერონიმ ასე შეაფასა კალაძის დებიუტი: „მან მშვენივრად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას — ითამაშა ტექნიკურად და მაღალ პროფესიულ დონეზე. კალაძე კიდევ მოუმატებს თამაშს, როცა იგი საჭირო ფიზიკურ კონდიციებს შეიძენს. ამთავითვე ვაცხადებ და ვულოცავ ყველა მილანელ გულშემატკივარს — ჩვენ შესანიშნავი ფეხბურთელი შევიძინეთ!“

# ხსოვნას პრიზებიც შეინახავენ...

მესამე ადგილისთვის მატჩში სამეგრელოს მსაჯთა ნაკრებმა 5-2 მოუგო თბილისი-1-ის გუნდს. ფინალში კი აფხაზეთის მსაჯებმა ტურნირის განმავლობაში მეორედ დაამარცხეს მასმედიის ნაკრები. ეს მატჩიც 5-2 დასრულდა. მაღალ დონეზე ორგანიზებულ ტურნირს შესაფერისი დასასრული ჰქონდა. სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი მილჩენკომ და მისმა კოლეგებმა პრიზები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს წარჩინებულ ფეხბურთელებს, საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს, მსაჯებს და სხვებსაც, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო შეჯიბრების ორგანიზებაში.

14 ნომინაციაში გათამაშდა აწ გარდაცვლილი, წარსულში ცნობილი მსაჯებისა და მწვრთნელების სახელობის პრიზები.

***საუკეთესო მეკარის*** — ლევან კვარაცხელიას — ნესტორ ჩხატარაშვილის სახელობის,

***საუკეთესო მცველის*** — ავთანდილ შალამბერიძეს — ილო ბოჭორაძის სახელობის,

***საუკეთესო თავდამსხმელის*** — ლაშა დვალიშვილს — გიორგი ბაქანიძის სახელობის,

***საუკეთესო გამთამაშებლის*** — ზვიად ერქვანიას — ჯონდო შავდიას სახელობის,

***ლამაზი გოლისათვის*** — გელა ინალიშვილს — გურამ აკობაშვილის სახელობის,

***ყველაზე ჯენტლმენ ფეხბურთელს*** — გია გვაზავას — ოტია ქორდანიას სახელობის,

***ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის*** — ზაზა ფიფიას — კონსტანტინე კრავჩენკოს სახელობის,

***მაყურებელთა სიმპათიის*** — იოსებ აფციაურს — ბორის ჭელიძის სახელობის,

***ტურნირის საუკეთესო მოთამაშის*** — სოსო მალანიას — დუკა რამიშვილის სახელობის,

***ყველაზე ხანდაზმული მონაწილის*** — ადიკ დურსუნიშს — ანტუს გონელის სახელობის,

***სასარგებლო მოთამაშის*** — ავთანდილ სამხარაძეს — სამეგრელოს რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური პრიზი, სპეციალური პრიზები მიიღეს: ტურნირის მთავარმა მსაჯმა კარლო ყრუაშვილმა და საუკეთესო არბიტრმა ოთარ გუნთაძემ, ტურნირის მასპინძლებმა ასკ-ს სპორტული კომპლექსის ხელმძღვანელებმა.

აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციიდან გურამ გაბისკირიას სახელობის პრიზი წილად ხვდა ტურნირის ***ბომბარდირს*** კოკა რუსაძეს (17 გოლი).

I კატეგორიის მსაჯებს ალექსანდრე კრიჭაშვილს, ზურაბ ანიაშვილს, მალხაზ მაისურაძეს და ლევან მიქელაძეს და კახაბერ მესხს გადაეცათ ეროვნული კატეგორიის მსაჯის სამკერდე ნიშნები.

ასეთი ტურნირი მომავალშიც გაიმართება, შეიძლება უფრო ფართო მასშტაბით და წელიწადის სხვა დროს.

## ბავშვთა ფეხბურთი

# ერთი მწვრთნელი, ერთი გუნდი და ერთი ლიდერი 35-ე სკოლიდან

***ფოტოებზე: 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი „ბასა“. მარცხნიდან I რიგში: ნიკა გათაშვილი, გიგა ზურაშვილი, გიორგი მახარაშვილი, ვახო ჭაჭიაშვილი, სანდრო ცქიტიშვილი, ბექა მეტრეველი, ზაალ დარჩიაშვილი, მიხეილ პრავდა, დათო გამიდოვი, ზაქრო პირმისაშვილი, გიორგი კერესელიძე; დგანან: მწვრთნელი ომარ ჯორბენაძე, ლევან გოგორელიანი, გიგი გაბრიჩიძე, ლაშა სიგუა, გიორგი გამბაროვი, დინის ილიაშენკო, ლაშა ჯანელიძე, ირაკლი მესხი, დათო ნავროზაშვილი, დათო ბოკერია, გიორგი ჩუტკერაშვილი; მარჯვნივ — ოსტატი და შეგირდი — ომარ ჯორბენაძე და სანდრო ცქიტიშვილი.***

ომარ ჯორბენაძეს არაერთი ჩინებული ოსტატი აღუზრდია ქართული ფეხბურთისთვის. ქუთაისში, ფეხბურთელობისას, მისი მწვრთნელები იყვნენ კარლო ხურციძე და გიგა ნორაკიძე. ამ შესანიშნავი სპეციალისტების შეგირდმა და ახლა თავად პედაგოგმა ცოდნაგამოცდილების სხვებისთვის გაზიარება ქუთაისის განათლების განყოფილების საფეხბურთო სკოლის უფროსი მწვრთნელობიდან დაიწყო, მერე იყო სხვა კლუბები, ბოლოს ხონის „იმერეთი“, ბაღდადის „საირმე“ აღზრდილი მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გოჩა ავსაჯანიშვილი დღეს 35-ე საფეხბურთო სკოლის მთავარი მწვრთნელია. ღვაწლმოსილ სპეციალისტს კი ამავე სკოლაში ერთ-ერთი პერსპექტიული ჯგუფი ჩააბარეს — 14-







15 წლის ყმაწვილებს დაუზარელად ულრმავებს ცოდნას და მომავალი საპასუხისმგებლო ტურნირებისათვის ამზადებს. გუნდში რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი ჰყავს. ერთ-ერთი მათგანია მარცხენა ნახევარმცველი სანდრო ცქიტიშვილი. სანდრო შრომისმოყვარეა, დარიგებებს ისმენს, ათვისების კარგი უნარი აქვს, აუცილებელია ფიზიკურად მოლონიერდეს და შესაძლებლობებსაც უკეთ გამოავლენს“ — ამბობს მწვრთნელი.

## ისწავლე, სწავლის მძებნელო...

# ფეხბურთის ფედერაცია ადმინისტრაციულ პროგრეს-კურსებზე

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობისთვის საფეხბურთო მეურნეობის ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებზე ლექცია-სემინარის ჩატარებას იწყებს უეფას გენერალური მდივნის თანაშემწე ***მარკუს შტუდერი.*** პროგრეს-კურსებს სფფ-ს ჩინოსანთა გარდა, მოისმენენ აგრეთვე უმაღლესი და პირველი ლიგის ოცდაოთხივე კლუბის პრეზიდენტები თუ მენეჯერები.

თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია:

1. უეფას ახალი სტრუქტურა
2. ფეხბურთელების ტრანსფერების საკითხები, ფიფა-უეფას ევროკავშირთან მოლაპარაკებები
3. კლუბების ლიცენზირება
4. კლუბების ორგანიზაციული სტრუქტურა, თანამშრომლობა ეროვნულ და ადგილობრივ ფედერაციებთან, აგრეთვე უეფასთან
5. ეროვნული ფედერაციის სტრუქტურა, კომიტეტების რაოდენობა, საშტატო განრიგი
6. მატჩების ორგანიზება (საშინაო და გასვლითი)

ლექცია-სემინარი ორდღიანია. მეცადინეობებს სასტუმრო „თორი“ უმასპინძლებს.

# „ლელოს“ და „ქართული ფეხბურთის“ რედაქციებს!

ამას წინათ, საზოგადოებრიობას თქვენ შეახსენეთ, რომ სრულდება ქართული ფეხბურთის 100 წლისთავი. შემდეგ გაზეთის ფურცლებზე არაფერი თქმულა ამის თაობაზე. თუ მართლა საუკუნის ხდება სამამულო ფეხბურთი, რატომ არ უნდა აღინიშნოს საზეიმოდ ეს თარიღი? ქართული ფეხბურთი ასეთ ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს.

*გ. კვლტენაძე, მ. ორთოიძე, გ. ჩიქოვანი და სხვ. (ქუთაისი)*

რედაქციისაგან: ჩვენ ფაქტი დავაფიქსირეთ. ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ ქართულ ფეხბურთს ახლა, XX საუკუნის დამდეგს 100 წელი უსრულდება. კონკრეტული თარიღი ისტორიას არ შემოუნახავს, ყოველ შემთხვევაში, დღემდე არაა მიგნებული. ჩვენი პოზიციის გასამყარებლად კი გაგაცნობთ ოფიციალურ ვერსიას. აი, რას ვკითხულობთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“: „საქართველოში (ფოთი, სოხუმი, ბათუმი) ფეხბურთის თამაში პირველად დანერგეს XX ს. დამდეგს უცხოური გემების მეზღვაურებმა. ამ ქალაქებში პირველი ორგანიზებული გუნდები 1905-06 წლებში ჩამოყალიბდა...“ აქვე გთავაზობთ სხვა ლიტერატურას, სადაც საქართველოში ფეხბურთის დანერგვის ხანად იგივე პერიოდია მითითებული: „Все о футболе“, М., 1972; ა. სტაროსტინი „Повесть о футболе“, М.,1973; მ. კაკაბაძე „ოქროს ქალმერთიდან ფიფას თასამდე“. თბ. 1981; გ. აკოფოვი, შ. ახვლედიანი „სპორტული საქართველო“ თბ. 1982.

თუ ვინმეს სხვა წყარო მოეპოვება, გთხოვთ გვაცნობოთ რედაქციაში. მისამართი: თბილისი, კოსტავას, 14. „ლელო“.

# ეშველა, პრობლემებით დაღლილ „დინამოს“?

*(პირველი გვერდიდან)*

დაიხადოს. თუ ეს მოთხოვნა არ შესრულდა, ჩვენი საფეხბურთო კლუბი, როგორც იცით, ყველა გათამაშებიდან მოიკვეთება. მივა თუ არა საქმე არასასურველ შედეგებამდე? თუ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები და დაპირებები რეალობად იქცა, ჩათვალეთ, რომ გამოსავალმა, როგორც იტყვიან, პირდაპირ სულზე მიუსწრო „დინამოს“. იგულისხმება საქართველოს შს სამინისტროს პოზიცია და ის მხარდაჭერა, რომელიც სამინისტროს გადაწყვეტილებისადმი გამოიჩინა ქვეყნის პრეზიდენტმა.

ამდენხანს უსაშველოდ გაწელილი საქმე, ახლა მეყსეულად მოგვარდა, თანაც ბევრისთვის გამაოგნებლად მოულოდნელი შედეგით — „დინამო“ ისევ რჩება შს სამინისტროს დაქვემდებარებაში მისი ოდინდელი სპორტული რგოლის სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მეშვეობით მართვის უფლებით. თავმჯდომარე ამ სტრუქტურისა, როგორც ეს წინათ იყო, შს მინისტრი კახა თარგამაძე იქნება, მის პირველ მოადგილედ კი სპორტის სფეროში ნიკა ივანიშვილი დაინიშნა თვით მინისტრის სურვილით. მაგრამ ამ ორგანიზაციული ხასიათის ცვლილების დეკლარირება ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, მთავარია, რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება, თანაც უახლოეს დღეებში, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, დრო ნამდვილად არ ითმენს.

შსს მინისტრის კახა თარგამაძის საჯარო დაპირებით, ყველა პრობლემა უსწრაფესად გადაიჭრება – „დინამო“ გახდება ლეგიტიმური, გაისტუმრებენ ვალებს, თუნდაც სესხის აღება გახდეს ამისთვის აუცილებელი, მოგვარდება გუნდის ყოფითი პირობები – დილმის ბაზაზე მათ ექნებათ წყალი, გაზი, განათება და ა.შ.

როგორც ხედავთ, არველაძეების შეთავაზებული წინადადება წინადადებად დარჩა, არც 51-49 პროცენტის ვარიანტი გამართლდა. მაგრამ მთავარი ახლა მაინც ხომ „დინამოს“ გადარჩენა და მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაა. და თუ ეს მოხდება, ამას, რამდენადაც ვიციით, თვით „დინამოს“ ახლანდელი უფროსი მწვრთნელი რევაზ არველაძეც მიესალმება.

მიმომხილველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გლენ ჰოდლი

# ჰოდლი ისევ ნაკრებზე ფიქრობს...

ქართველი გულშემატკივრებისთვის კარგად ნაცნობმა ინგლისელმა ფეხბურთის სპეციალისტმა გლენ ჰოდლმა გუშინ სენსაციური განცხადება გააკეთა – სიამოვნებით დავბრუნდები საერთაშორისო ფეხბურთში და თანხმობას ვეტყვი აშშ-ს ფეხბურთის ასოციაციის მესვეურებს, თუ შემომთავაზებენ ნაკრების გაძღოლასო.

როგორც გახსოვთ, ჰოდლი ინგლისის ნაკრებს ედგა სათავეში და გუნდმა საკმაოდ მაღალ შედეგებსაც მიაღწია, მაგრამ მერე ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელებმა უმნიშვნელო მიზეზების გამო იგი თანამდებობიდან დაითხოვეს. შარშანწინ ნიჭიერმა სპეციალისტმა ინგლისის პრემიერლიგიდან გასავარდნად განწირული „საუთჰემპტონი“ ჩაიბარა და უკვე ორი სეზონია ღირსეულად უძღვება საქმეს.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### მუქარის წერილებს იღებს

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის გენერალური მდივანი ადამ კროზიერი რეგულარულად იღებს მუქარის წერილებს. მისთვის ვერასგზით ვერ უპატიებიათ, რომ ინგლისის ნაკრების სათავეში შვედ სვენ-გორან ერიქსონის მოწვევის ინიციატორი გახდა.

კროზიერს ამ წერილების ავტორები არა მარტო სიტყვიერად შეურაცხყოფენ, არამედ ფიზიკური ანგარიშსწორებითაც ემუქრებიან. მუქარები განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც ერიქსონი ინგლისში ჩავიდა. კროზიერს ინგლისური ფეხბურთის შეგნებულ დისკრეტიზირებაში ადანაშაულებენ. აქ საქმეს ერთი დეტალიც ემატება: კროზიერი ეროვნებით ინგლისელი კი არა, შოტლანდიელია.

— რა მნიშვნელობა აქვს იმას, ვინ ვარ მე ეროვნებით, — ამბობს კროზიერი, — სანამ ერიქსონთან მოლაპარაკებას დავიწყებდი, ეს საკითხი საერთოდ არავის აინტერესებდა. როგორც კი უცხოელი სპეციალისტი სამუშაოდ მოვიწვიე, მაშინვე „მავნებელი“ გავხდი. ყველა იმ მუქარის თუ შეურაცხყოფის წერილს პოლიციას ვაბარებ. დეე, თვით გაარკვიონ საქმე იმ „პატრიოტებთან“, რომლებიც წერილებს გვარს არ აწერენ.

კროზიერი ფიქრობს, რომ სავსებით სწორად მოიქცა. „გარდა ამ ბინძური წერილებისა, მე მხარდაჭერის მიმართვებსაც ვიღებ. ისინი კი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ლანძღვა-გინების წერილები, ამასთან, ყველა ხელმოწერილია. სულაც არა ვნანობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

— ჩვენ უცხოელი სპეციალისტი იმიტომ მოვიწვიეთ, რომ კარგად არა გვქონდა საქმე. ისე კი, ინგლისელი მწვრთნელების დამცირებას არავინ აპირებდა. ჩვენს ქვეყანაში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების აშკარა დეფიციტი იგრძნობა. უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე მათ მომზადებაზე თითქმის არავინ ზრუნავდა, ინვესტიციები ამ სფეროში მინიმალური იყო. ჩვენ შეგვექმნა ილუზია, რომ „კარგი მოთამაშე აუცილებლად ძლიერი მწვრთნელი უნდა გახდეს“. სამწუხაროდ, ასე ყოველთვის როდი ხდება. ასეთი შედეგიც ამიტომ მივიღეთ. უცხოელი სპეციალისტების მოწვევამ ჩვენებიც უნდა გამოაცოცხლოს, მათ თავმოყვარეობაზე იმოქმედოს და საკუთარი მწვრთნელების მომზადების სტიმულიც მოგვცეს.

### „დიადორა“ – „ზენიტის“ ტექნიკური სპონსორი

**სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ ახალი, ძლიერი სპონსორი ჰყავს. ეს არის ფირმა „დიადორა“ — „ოლიმპიკ სპორტ 21“. ორი წლის მანძილზე „დიადორა“ არსებით დახმარებას გაუწევს ფეხბურთელთა კლუბს, მოამარაგებს მას ფორმით და სხვადასხვა ნივთებით. გარდა ამისა, კლუბი და „დიადორა“ ერთობლივ მაღაზიებს გახსნიან, უზრუნველყოფენ ფეხბურთელების ინდივიდუალურ კონტრაქტებს.**

### გოლი ზედიზედ 10 მატჩში – იშვიათი რამ გახლავთ

ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბ „ბორნმუტის“ თავდამსხმელმა ჯერმაინ დეფომ ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა. მატჩში „კემბრიჯთან“, სადაც მან 64-ე წუთზე ანგარიში გახსნა, მისი გოლი უკვე ზედიზედ მეათე აღმოჩნდა, იმათთაგან, რომელიც ამ ნიჭიერ თავდამსხმელს გააქვს. დეფო ლონდონის „ვესტჰემ იუნაიტედის“ საკუთრებაა და „ბორნმუტში“ იჯარის პირობებით იმყოფება. ადრე ეროვნული რეკორდი ეკუთნოდათ კევინ რასელს „რექსემიდან“ და ჯონ ოლდრიჯს „ლივერპულიდან“, რომლებსაც 9-9 მატჩში ზედიზედ გაჰქონდათ გოლები. ამასთან, ოლდრიჯის წარმატება უფრო ფასობდა, რადგან იგი უმაღლეს დივიზიონში დამყარდა. ოლდრიჯმა თავისი სერია 1986-87 წლების სეზონის უკანასკნელ მატჩში დაიწყო და მომდევნო ჩემპიონატის სტარტიდან გააგრძელა.

რაც შეეხება ინგლისის ყველა დროის რეკორდს, იგი ძალიან დიდი ხნის წინათ დამყარდა 1924-25 წლების სეზონში. „ლესტერის“ თავდამსხმელ არტურ ჩენდლერს, 16 მატჩში ზედიზედ გაჰქონდა გოლები. 1930-31 წლებში ლივერპულის „ევერტონის“ მსოფლიო სახელის მქონე თავდამსხმელმა დიქსი დინმა გოლები ზედიზედ 12 მატჩში გაიტანა.

### უარი ეთქვათ

**ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ უარი უთხრა რუს ფეხბურთელებს ვლადიმირ ბესჩასტნიხს (სანტადერის „რასინგი“), დმიტრი ხოხლოვს (სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადი“), ლიტველ ედგარას იანკაუსკასს („რეალ-სოსიედადი“), რუმინელებს დიმიტრუ როშუსა და კონსტანტინ ბარბუს („ნუმანსია“) უფლებრივად გაუთანაბროს ისინი იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებიდან არიან და ესპანეთში უცხოელის ლიცენზია არა აქვთ.**

### ყველაფერი მოგვარდა. ადრიანო „ინტერში“ ითამაშებს

როგორც მილანის „ინტერის“ პრეს-მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, მოგვარებულია რიო-დე-ჟანეიროს „ფლამენგოსთან“ მოლაპარაკების ყველა დეტალი. იტალიელებმა 11 მილიონი დოლარი გადაიხადეს 19 წლის თავდამსხმელ ადრიანოში, რომელსაც ბრაზილიაში „ახალ რონალდოს“ უწოდებენ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის ვერსიით XX ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელები

# „ოქროს მტაცებელი“ ტოსტაო

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №5-7, 9 2001)*

### ნერვები — კონტროლქვეშ

და აი, ფინალიც. ვტოვებთ სტუმართმოყვარე გვადალახარას, სადაც ძალზე შეგვიყვარეს და ჩავედით მეხიკოში. იქ იტალიელები გველოდებოდნენ. თანდათან მატულობს ნერვული დაძაბულობა. არ დაიჯეროთ, როცა მოთამაშე ირწმუნება, რომ აბსოლუტურად დამშვიდებულია, რომ მკვდარივით ეძინა გადამწყვეტი ბრძოლის წინ. რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირად არ რეაგირებს. მაგრამ იმაში, გარინჩაზე რასაც ამბობენ, თითქოს ისიც არ იცოდა ვისთან უნდა ეთამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ეს უკვე ფოლკლორიდანაა აღებული. თუმცა, იგი განსაკუთრებული პიროვნება იყო. ისიც ცხადია, რომ ნამდვილ სპორტსმენს ნერვების კონტროლი, ტვინის და კუნთების კონცენტრირება უნდა შეეძლოს მიზნის მისაღწევად. სავსებით ცხადია, რომ გარკვეულ სიტუაციაში გონება კარგავს სხეულის კონტროლს, ამიტომაც მოთამაშე მიუტოვებელ შეცდომებს უშვებს, არაზუსტი ჩაწოდებები, ცაში დარტყმები და მისი მსგავსი ლაფსუსები.

მაგრამ არის სხვაც, არანაკლებ გავლენიანი ფაქტორები – განწყობა და ანგარიშიანობა. თამაშისწინა დღეს დიდხანს ვესაუბრებოდი მამას, გუნდის ექიმს. ისინი მისტიკურ რწმენას მინერგავდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში იქნება და ჩემპიონები გავხდებით. დილით, თამაშამდე კაფეში ვისხედით. ჩემი დუბლიორი დარიო, ენაკვიმატი, მხიარული და ყოვლისმცოდნე ახალგაზრდა გვარწმუნებდა, რომ სიზმარში ნახა, როგორ ვიმარჯვებდით 3-0-ზე, და სამივე გოლი მან გაიტანა, თუმცა კარგად ვიცოდით, რომ ის ძირითად შემადგენლობაში არ იყო, ზაგალომ იხუმრა; ყველა დაცვაში უნდა გადავიდეს, წინ მარტო დარიო დავაყენოთ.

მთელი სერიოზულობით ვსწავლობდით მეტოქეს. ფიზმომზადების მწვრთნელმა პერეირამ ნახა იტალია-გერმანიის თამაში და, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებები გაეკეთებინა ტაქტიკური თვალსაზრისით და ზუსტად დაახასიათა ჩვენი მეტოქე ფინალში.

სტრატეგიით ჟაირზინიოს „თან უნდა წაეყვანა“ მის წინააღმდეგ პერსონალურად მოთამაშე ფაკეტი, განთავისუფლებულ ზონაში კი უნდა შეჭრილიყო კარლოს ალბერტო. სწორედ მან გაიტანა მეოთხე გოლი. მე იტალიელთა ლიბეროსთან ახლოს უნდა ვყოფილიყავი და ხელი შემეშალა მისთვის დახმარებოდა ფლანგის მცველებს. ისინი უკან დაიხევდნენ და კავშირი ექნებოდათ ბოლო მცველთან, ესე იგი, ჟერსონსა და რიველინოს მეტი სივრცე ექნებოდათ სამოქმედოდ. ამან, გაამართლა: ჟერსონმა საჯარიმო მოედნის გარედან დარტყმული საჯარიმოთი გაიტანა გოლი, რიველინომ რამდენჯერმე ცახიფათოდ შეუტია მეტოქის კარს.

კაპიტანი ყოველთვის არ არის გუნდის ლიდერი. ლიდერი კაპიტანზე მეტია: თამაში სწორედ მას მიჰყავს, ცვლის მის მიმართულებას, ქმნის დაძაბულობის კერებს, ამდენად იგი კაპიტანზე მეტია. კაპიტანი ერთია, ლიდერი კი გუნდში შეიძლება რამდენიმე იყოს. კარლოს ალბერტო კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ ყველამ ჟერსონი აღიარა ძირითად ლიდერად.

### გაცხადებული სიზმარი

წონასწორობა მხოლოდ ერთ ტაიმს გრძელდებოდა, ვინაიდან იტალიელები დაცვაში იყვნენ შეჯგუფებულნი, ჩვენ კი ნერვები გვღალატობდა. პირველი გოლი რიველინოს თვალშეუვლები გარღვევისა და ცენტრში მისი ბრწყინვალე პასის, რომელსაც პელე დაეუფლა, შედეგად გავიდა. იგი ცაში აიჭრა და დაბალ კუთხეში გაგზავნა ბურთი. იტალიელებმა ანგარიში კლადოალდოს მიუტევებელი შეცდომის გამო გაათანაბრეს. შესვენების შემდეგ მინდორზე გამარჯვების მტკიცე რწმენით გავდიოდით. იტალიელები, იგრძნობოდა, უკვე დაიღალნენ, და დაცვაში ბზარი გაუჩნდათ. „მეურვეობაც“ ისეთი მჭიდრო აღარ იყო, და გოლები ერთი მეორეს მიჰყვა. მეორე, ჟერსონის, დრიბლინგისა და საჯარიმომდე ძლიერი დარტყმით გავიდა, მესამე – ჟაირზინიომ გამოიყენა ჟერსონის იდეალური ჩაწოდება, და მეოთხე კარლოს ალბერტოს ჩანაფიქრით – სიღრმიდან ხისტი დარტყმით ბადეში „ჩაჭრა“. ბურთი უკან გამოვარდა, ხელთ ვიგდე იგი, თითქოს გოლი ჩემი იყო. მე კიდევ კინაღამ არ შევაგდე თავით გოლი, რაც ჩემთვის დიდი ჯილდო იქნებოდა, თუ გაითვალისწინებდნენ ჩემი მხედველობის პრობლემას.

საერთოდ კი, დავალებული მქონდა ლიბეროს შებოჭვის მიზნით ბურთი ჩვეულებრივზე ადრე მომეცილებინა. ამის გამო ხუმრობდნენ კიდეც, რომ უბურთოდ ვთამაშობ. ეს ხუმრობა არ მომეწონა. ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, უბურთოდაც უნდა შეეძლოს თამაში, მაგრამ ფეხბურთი – მაინც ბურთის თამაშია. ჟაირზინიოს მესამე გოლის მერე, რამაც ჩვენი გამარჯვება განამტკიცა, აცრემლებული ვთამაშობდი. ნერვები...

გამარჯვების ზეიმი დაიწყო პირდაპირ მინდორზე ბრაზილიელი და მექსიკელი ტორსიდების კარნავალით. ჩემი მაისური ნაკუწ-ნაკუწ აქციეს და პოლიცია რომ არა, მინდვრიდან შიშვლები გავიდოდით. ყველაზე მხურვალე მამის მოლოცვა მეჩვენა, ყველაზე დიდი მადლობა კი გუნდის ექიმს გადავუხადე, და მას ჩემი ჩემპიონის მედალი ვაჩუქე.

სამშობლოში დაბრუნებულებს მილიონიანი ხალხის ბრბო გვესალმებოდა. უამრავი საჩუქარი და იმ დროისა-



*1970 წელი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მომენტი. ბრაზილია – იტალია. ტოსტაოს (მარჯვნივ) გოლი არ გაუტანია, მაგრამ ბრწყინვალე ასისტენტობა გაუწია პარტნიორებს.*

თვის კარგი ფინანსური ანაზღაურება მერგო, ჩემს კარიერაში უმაღლესი დიდება განვიცადე. რა კარგია მსოფლიო ჩემპიონობა!

### ადამიანი და კერპი

დიდებას არასოდეს შევგუებივარ. კი, ვამაყობდი, რომ კარგი პროფესიონალი ვარ, იმითაც, რომ ბევრი მიცნობდა, მაგრამ ზეიმზე მიწვევა უხერხულობას იწვევდა, თითქოს ვიღაცა ჩემს პირად ცხოვრებაში შეჭრას ცდილობს, საგამოფენო ექსპონატად წარმომიდგინოს. ხალხთან ურთიერთობას არ გავურბოდი, მაგრამ პირფერობას ვერ ვიტანდი და არ ვეთანხმებოდი, კერპად რომ ვექციე. წარმატება კარგი რამაა, მაგრამ როცა მას მიაღწევ, გაღარიბებს.

ვაკვირდებოდი, რომ ბევრ მოთამაშეს, სხვათა შორის, არაფრით გამორჩეულს, განსაკუთრებულობის პრეტენზია ჰქონდა, უპატივცემლობას იჩენდა სხვების მიმართ, იგნორირებდა კანონებს – ერთი სიტყვით, არ შეეძლოთ ეცხოვრათ ისე, როგორც ყველა ცხოვრობს.

თავს, რამდენადმე მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლად მივიჩნევდი, ყოველთვის მქონდა დრო კითხვისათვის, მაინტერესებდა ბევრი რამ, რაც საფეხბურთო ფარგლებს სცილდებოდა და ნიადაგ ვფიქრობდი, რომ მომავალში ახალ პროფესიას შევიძენდი, არა, ფეხბურთს ვაღმერთებდი, უფრო და უფრო მწყუროდა მეტი და კარგი თამაში, მაგრამ გონებაში ღრმად ჩამებეჭდა, რომ ეს დროებითია.

მეტსაც ვიტყვი – დიდებას წინააღმდეგობით აღსავსე ვეკიდებოდი. აღიარება მიყვარდა, არც ცოდნას გავურბოდი და ამავე დროს უდაბურ პლაჟზე პატარა სახლსა და ნორმალურ ცხოვრებაზე ვოცნებობდი. მანცვიფრებდა პელე გულითადობითა და ხალხის პატივისცემით. მშურდა, რომ დიდება მას ხელს არ უშლის. ჩემს თვალში ედისონ არანტეს დო ნასიმენტო მეფე პელედ იქცა. პიროვნების გაორება – კერპის უდიდესი პრობლემაა, იგი ფსიქიკურად შლის ადამიანს. ვერ დავეთანხმები, რომ გარინჩა სამყაროს სრულიად მოწყვეტილი ცხოვრობდა, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს. 1966 წელს ვაკვირდებოდი მას. შეფიქრიანებული და დაღონებული გამოიყურებოდა, ნერვიულობდა, იმის დამტკიცება სწყუროდა, რომ გარინჩა კიდევ გარინჩაა. მაგრამ ისე, კვლავინდებურად საუკეთესო წლებში რომ იყო. მაინც ვერ ითამაშა, და ვიცით, რა ტრაგიკულად დამთავრდა მისი ცხოვრება.

### ურთიერთგაგების საიდუმლოება

პელეს რომ ვუყურებდი, ყოველთვის ვეკითხებოდი ჩემს თავს: რატომაა იგი მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშე? მეტად სწრაფი იყო, მის მოკლე დრიბლინგს მოსდევდა კიდევ უფრო გრძელი დრიბლინგი, კარგად გაითამაშებდა „კედელს“, ურტყამდა ორივე ფეხით, თავით ყოველთვის თვალებლია თამაშობდა, ითვალისწინებდა მეკარე რა მდგომარეობაში იყო, ჰქონდა გამორჩეული პასი, სწრაფად აზროვნებდა, მინდორზე ნამდვილი მებრძოლი იყო, ყველაზე კრიტიკულ მომენტში მეტ ძალას იკრებდა. მას ფეხბურთში ჩავარდნა არა ჰქონია და არც ზედმეტობა სჩვევია – აბსოლუტური უბრალოება და ეფექტურობა.

იგი თავმოყვარე იყო, ყოველთვის სურდა, რომ საუკეთესოდ მიეჩნიათ, მაგრამ ამასთან, სრულიად აღიარებდა პარტნიორის მნიშვნელობას თავის წარმატებაში. ერთხელ, მის გვერდით თამაშისას, მის მოქმედებაში ერთგვარი უხერხულობა შევნიშნე. ეს იმიტომ მოხდა, რომ მან მოქმედების ზონა შეამცირა, რითაც მეტოქეს საშუალება მისცა „ამოეკეტა“ იგი. ვურჩიე შეტევის მთელ ფრონტზე ემოძრავა. „ასე გგონია? – მკითხა მან. ავუხსენი ჩემი აზრი. დამიჯერა, და სულ სხვა თამაში წაგვივიდა. მაგრამ, როგორც წესი, ჩვენ დიდი გადალაპარაკება არა გვქონია, თვალის შევლებით ვუგებდით ერთმანეთს, ანდა, საერთოდ, არ გავიხედავდით ურთიერთისკენ. უსიტყვოდ რომ გაუგებ ინტუიციით პარტნიორს, ესაა ჭეშმარიტი ოსტატობა. არმანდო ნოგეირამ, ჩვენმა ცნობილმა ჟურნალისტმა, ეს ფენომენი ასე ახსნა ხუმრობით: „ბევრი ფეხბურთელი მინდორზე ბუცებში, გეტრებში და მაისურსა და ტრუსებში გამოწყობილი გამოდის, პელე და ტოსტაო კი, ამას გარდა, მათთვის სპეციალურად დამზადებულ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, რადარებითა და კომპიუტერებით იტენებიან. ისიც შეიძლება ითქვას, რომ პელესა და ტოსტაოს ცნობილი „კედლები“ და გრძელი გადაცემები ღმერთის არსებობას მოწმობს“.

### მსოფლიო თასი-70-ის შემდეგ

სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, რომ 1970 წლის მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ დაგვესვენა და დავმტკბარიყავით ცხოვრების მშვენიერებით. მაგრამ ჩემთვის ნორმალური იყო მინდორზე დავბრუნებულიყავ და მონაწილეობა მიმეღო შტატისა და ქვეყნის პირველობაში. მით უმეტეს, რომ „კრუზეირო“ საჭიროებდა ჩემს მხარდაჭერას. შემადგენლობა გადახალისდა, და ექვსწლიანი ჩემპიონობისა და თასის ფლობის შემდეგ 1971 წელს ყველა წოდება დავკარგეთ. დაირხა ხმები, რომ მოთამაშეები „გაზულუქდნენ“. ბუნებრივი იყო, როგორც ყველაზე სახელოვანს, კრიტიკა მეც მეხებოდა, თუმცა, მხედველობის პრობლემის მიუხედავად, მაინც ვთამაშობდი.

ამასთან, შეიცვალნენ მწვრთნელები, და ახლებმა იმით დაიწყეს დისციპლინის განმტკიცება, რომ მოთამაშეები მეტს უნდა დარბოდნენო. ვიგრძენი, რომ ჩემსკენაც ცვიოდა „კენჭები“, და გარიდება ვარჩიე. თუმცა, მიმძიმდა გამოთხოვება ძველ მეგობრებთან და კლუბთან, რომელშიც ათი წელი გავატარე და ბევრს მივაღწიე.

ჩემი ახალი კლუბი რიო-დე-ჟანეიროს „ვასკო და გამა“ იყო. გავიარე სამედიცინო შემოწმება, ასპროცენტიან ჯანმრთელად მცნეს ფეხბურთისათვის. „კრუზეიროს“ ხელმძღვანელობა კარგად არ მომექცა, ჩემი გაყიდვით შემოსავლის 15 პროცენტიც არ გადამიხადა. შეუნდოს ღმერთმა, ჩემი ახალი კონტრაქტი ბევრად სარფიანი აღმოჩნდა.

*(გაგრძელება იქნება)*

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXI ტური

| | |
|---|---|
| ბარსელონა – ატლეტიკი | 7-0 |
| სოსიედადი – სელტა | 2-2 |
| ოსასუნა – ესპანიოლი | 1-3 |
| სარაგოსა – რაიო ვალეკ. | 6-1 |
| ვილიარეალი – ალავესი | 2-0 |
| ნუმანსია – ვალიადოლიდი | 0-0 |
| რეალი – მალაგა | 4-3 |
| დეპორტივო – რასინგი | 2-1 |
| ლას პალმასი – ოვიედო | 1-0 |
| მალიორკა – ვალენსია | 2-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 21 | 15 | 3 | 3 | 51-24 | 48 |
| დეპორტივო | 21 | 12 | 5 | 4 | 38-21 | 41 |
| ბარსელონა | 21 | 12 | 4 | 5 | 46-27 | 40 |
| ვალენსია | 21 | 10 | 6 | 5 | 31-16 | 36 |
| ვილიარეალი | 21 | 9 | 5 | 7 | 26-22 | 32 |
| მალიორკა | 21 | 8 | 8 | 5 | 30-29 | 32 |
| ლას-პალმასი | 21 | 9 | 4 | 8 | 24-36 | 31 |
| ესპანიოლი | 21 | 9 | 3 | 9 | 29-24 | 30 |
| რაიო | 21 | 7 | 8 | 6 | 39-35 | 29 |
| მალაგა | 21 | 7 | 4 | 9 | 33-33 | 28 |
| ალავესი | 21 | 8 | 3 | 10 | 30-29 | 27 |
| სარაგოსა | 21 | 6 | 9 | 6 | 30-29 | 27 |
| ატლეტიკი | 21 | 7 | 6 | 8 | 29-34 | 27 |
| ოვიედო | 21 | 8 | 3 | 10 | 26-34 | 27 |
| ვალიადოლ. | 21 | 5 | 11 | 5 | 24-25 | 26 |
| სელტა | 21 | 6 | 6 | 9 | 25-32 | 24 |
| ნუმანსია | 21 | 5 | 5 | 11 | 20-33 | 20 |
| სოსიედადი | 21 | 4 | 6 | 11 | 23-42 | 18 |
| ოსასუნა | 21 | 3 | 8 | 10 | 21-33 | 17 |
| რასინგი | 21 | 3 | 5 | 13 | 22-39 | 14 |

## საბერძნეთი
### XVII ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი – ოფი | 5-0 |
| კალამატა – ქსანთი | 0-1 |
| პანაჰაიკი – ირაკლისი | 1-2 |
| იონიკოსი – ეთნიკოსი | 2-1 |
| პაოკი – იანინა | 2-3 |
| პანათინაიკოსი – პანიონისი | 0-1 |
| პანილიაკოსი – არისი | 1-2 |
| აეკ – ათინაიკოსი | (5.02) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 17 | 14 | 2 | 1 | 55-14 | 44 |
| პანათინაიკ. | 17 | 11 | 5 | 1 | 30-9 | 38 |
| პაოკი | 17 | 9 | 5 | 3 | 40-28 | 32 |
| აეკი | 16 | 9 | 3 | 4 | 31-23 | 30 |
| ირაკლისი | 17 | 9 | 3 | 5 | 26-18 | 30 |
| იონიკოსი | 17 | 8 | 6 | 3 | 28-22 | 30 |
| არისი | 17 | 7 | 4 | 6 | 20-19 | 25 |
| ქსანთი | 17 | 7 | 3 | 7 | 11-16 | 24 |
| ეთნიკოსი | 17 | 6 | 3 | 8 | 20-31 | 21 |
| პანიონიოსი | 17 | 4 | 8 | 5 | 17-20 | 20 |
| პანილიაკოსი | 17 | 3 | 6 | 8 | 13-24 | 15 |
| პანაჰაიკი | 17 | 3 | 5 | 9 | 20-29 | 14 |
| იანინა | 17 | 3 | 4 | 10 | 23-35 | 13 |
| ათინაიკოსი | 16 | 3 | 3 | 10 | 21-35 | 12 |
| ოფი | 17 | 2 | 5 | 10 | 17-33 | 11 |
| კალამატა | 17 | 1 | 7 | 9 | 21-37 | 10 |

## იტალია
### სერია A. XVII ტური

| | |
|---|---|
| პერუჯა – ვერონა | 1-0 |
| ატალანტა – იუვენტუსი | 2-1 |
| ბარი – ბრეშა | 1-3 |
| ბოლონია – ინტერი | 0-3 |
| ლაციო – ლეჩე | 3-2 |
| მილანი – რეჯინა | 1-0 |
| პარმა – რომა | 1-2 |
| ვიჩენცა – უდინეზე | 1-2 |
| ნაპოლი – ფიორენტინა | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 17 | 12 | 3 | 2 | 33-13 | 39 |
| იუვენტუსი | 17 | 9 | 6 | 2 | 29-15 | 33 |
| ლაციო | 17 | 10 | 3 | 4 | 33-20 | 33 |
| ატალანტა | 17 | 8 | 5 | 4 | 22-15 | 29 |
| მილანი | 17 | 7 | 6 | 4 | 27-24 | 27 |
| ფიორენტინა | 17 | 6 | 7 | 4 | 30-24 | 25 |
| უდინეზე | 17 | 8 | 1 | 8 | 30-27 | 25 |
| პერუჯა | 17 | 7 | 4 | 6 | 23-20 | 25 |
| ინტერი | 17 | 6 | 6 | 5 | 20-19 | 24 |
| ბოლონია | 17 | 7 | 3 | 7 | 19-20 | 24 |
| პარმა | 17 | 6 | 5 | 6 | 20-18 | 23 |
| ლეჩე | 17 | 5 | 6 | 6 | 21-27 | 21 |
| ბრეშა | 17 | 3 | 8 | 6 | 19-22 | 17 |
| ნაპოლი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-27 | 17 |
| ვიჩენცა | 17 | 4 | 4 | 9 | 17-29 | 16 |
| ვერონა | 17 | 3 | 6 | 8 | 18-29 | 15 |
| რეჯინა | 17 | 4 | 1 | 12 | 12-30 | 13 |
| ბარი | 17 | 3 | 3 | 11 | 14-28 | 12 |

## ბელგია
### I დივიზიონი. XXI ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა – ანდერლეხტი | 0-4 |
| ბეერსხოტი – ლუვიე | 3-1 |
| ბევერენი – ლიერსი | 2-1 |
| ვესტერლო – გენკი | 5-0 |
| სტ. ტრუიდენი – გენტი | 0-1 |
| მეხელენი – ლოკერენი | 0-3 |
| ბრიუგე – სტანდარდი | 1-1 |
| ჰარელბეკე – ანტვერპენი | 2-0 |
| აალსტი – მუსკრონი | 1-0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 20 | 17 | 3 | 0 | 60-16 | 54 |
| ბრიუგე | 20 | 16 | 3 | 1 | 60-15 | 51 |
| სტანდარდი | 21 | 11 | 6 | 4 | 51-25 | 39 |
| გენტი | 20 | 11 | 5 | 4 | 39-29 | 38 |
| ვესტერლო | 20 | 11 | 4 | 5 | 40-28 | 37 |
| მუსკრონი | 21 | 10 | 4 | 7 | 44-30 | 34 |
| შარლერუა | 21 | 9 | 3 | 8 | 36-38 | 33 |
| ბეერსხოტი | 21 | 10 | 2 | 9 | 38-31 | 32 |
| ლიერსი | 21 | 9 | 4 | 8 | 33-29 | 31 |
| ლოკერენი | 21 | 8 | 7 | 6 | 32-30 | 31 |
| ბევერენი | 21 | 8 | 5 | 8 | 21-39 | 29 |
| გენკი | 21 | 6 | 6 | 9 | 26-32 | 24 |
| ანტვერპენი | 21 | 7 | 2 | 12 | 25-32 | 23 |
| აალსტი | 21 | 5 | 4 | 12 | 22-46 | 19 |
| ჰარელბეკე | 21 | 5 | 1 | 15 | 26-60 | 16 |
| სტ. ტრუიდ. | 21 | 3 | 4 | 14 | 20-40 | 13 |
| მეხელენი | 21 | 2 | 5 | 14 | 27-51 | 11 |
| ლუვიე | 21 | 1 | 6 | 14 | 14-43 | 9 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XX ტური

| | |
|---|---|
| ბოავიშტა – ამადორა | 1-0 |
| გიმარაეში – ალვერკა | 2-2 |
| ფარენსე – ჟილ ვისენტე | 1-1 |
| ბენფიკა – ლეირია | 3-2 |
| ბელენენსეში – ბეირა მარი | 0-1 |
| კამპომაიორენსე – ავეში | 0-0 |
| მარიტიმუ – სალგეირუში | 0-1 |
| სპორტინგი – ბრაგა | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 20 | 13 | 6 | 1 | 39-12 | 45 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 4 | 4 | 37-20 | 40 |
| სპორტინგი | 20 | 12 | 3 | 5 | 34-20 | 39 |
| პორტუ | 19 | 12 | 2 | 5 | 37-16 | 38 |
| ბრაგა | 20 | 10 | 7 | 3 | 32-22 | 37 |
| ბელენენსეში | 20 | 10 | 5 | 5 | 26-15 | 35 |
| სალგეირუში | 20 | 9 | 2 | 9 | 21-29 | 29 |
| ფერეირა | 19 | 7 | 7 | 5 | 25-17 | 28 |
| ფარენსე | 20 | 7 | 7 | 6 | 25-26 | 28 |
| მარიტიმუ | 20 | 7 | 5 | 8 | 20-20 | 26 |
| ლეირია | 20 | 6 | 8 | 6 | 22-29 | 26 |
| ბეირა მარი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-30 | 23 |
| ალვერკა | 20 | 6 | 4 | 10 | 26-33 | 22 |
| გიმარაეში | 20 | 4 | 7 | 9 | 23-32 | 19 |
| კამპომაიორ. | 20 | 3 | 9 | 8 | 15-30 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 3 | 5 | 12 | 13-27 | 14 |
| ავეში | 20 | 2 | 6 | 12 | 18-39 | 12 |
| ამადორა | 20 | 2 | 4 | 14 | 15-33 | 10 |

## თურქეთი
### XIX ტური

| | |
|---|---|
| სამსუნი – გაზიანთეფი | 3-3 |
| რიზე – იეთფა | 3-0 |
| დენიზლი – იოზგათი | 2-0 |
| ერზრუმი – გალათასარაი | 1-2 |
| ბეშიქთაში – ანთალია | 4-2 |
| ბურსა – ტრაბზონი | 4-2 |
| ადანა – გენჩლერბირლინგი | 2-3 |
| ქაჯოელი – ანკარა | 4-0 |
| ისთანბული – ფენერბახჩე | 1-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 19 | 13 | 3 | 3 | 42-15 | 42 |
| ფენერბახჩე | 19 | 13 | 3 | 3 | 47-23 | 42 |
| ბეშიქთაში | 19 | 12 | 4 | 3 | 42-27 | 40 |
| გაზიანთეფი | 19 | 10 | 6 | 3 | 41-25 | 36 |
| გენჩლერბირ. | 19 | 10 | 3 | 6 | 27-23 | 33 |
| ტრაბზონი | 19 | 9 | 5 | 5 | 38-27 | 32 |
| სამსუნი | 19 | 8 | 5 | 6 | 31-27 | 29 |
| დენიზლი | 19 | 7 | 6 | 6 | 25-29 | 27 |
| ისთანბული | 19 | 7 | 5 | 7 | 26-27 | 26 |
| ანკარა | 19 | 6 | 7 | 6 | 26-32 | 25 |
| იოზგათი | 19 | 6 | 6 | 7 | 26-24 | 24 |
| ანთალია | 19 | 6 | 5 | 8 | 27-33 | 23 |
| რიზე | 19 | 6 | 4 | 9 | 22-21 | 22 |
| ბურსა | 19 | 4 | 6 | 9 | 25-39 | 18 |
| ადანა | 19 | 2 | 8 | 9 | 29-39 | 14 |
| ქოჯაელი | 19 | 2 | 7 | 10 | 22-37 | 13 |
| ერზრუმი | 19 | 3 | 3 | 13 | 21-47 | 12 |
| იეთფა | 19 | 1 | 6 | 12 | 21-43 | 9 |

## შოტლანდია
### XXVII ტური

| | |
|---|---|
| რეინჯერსი – დანფერმლაინი | 2-0 |
| დანდი იუნ. – სტ. ჯონსტონი | 1-1 |
| კილმარნოკი – მოზერველი | 1-2 |
| სტ. მირენი – დანდი | 2-1 |
| ჰართსი – სელტიკი | 0-3 |
| აბერდინი – ჰიბერნიანი | (გადაიდო) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 25 | 21 | 3 | 1 | 69-21 | 66 |
| რეინჯერსი | 25 | 18 | 3 | 4 | 53-24 | 57 |
| ჰიბერნიანი | 26 | 16 | 7 | 3 | 45-16 | 55 |
| კილმარნოკი | 26 | 12 | 4 | 10 | 32-35 | 40 |
| ჰართსი | 27 | 10 | 6 | 11 | 38-40 | 36 |
| დანდი | 25 | 8 | 6 | 11 | 37-33 | 30 |
| დანფერმლ. | 26 | 8 | 7 | 11 | 23-33 | 31 |
| სტ. ჯონსტ. | 26 | 7 | 10 | 9 | 26-36 | 31 |
| მოზერუელი | 26 | 9 | 5 | 12 | 33-40 | 32 |
| აბერდინი | 24 | 4 | 9 | 11 | 24-40 | 21 |
| დანდი იუნ. | 26 | 3 | 5 | 18 | 20-49 | 14 |
| სტ. მირენი | 26 | 4 | 3 | 19 | 17-50 | 15 |




## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XX ტური

| | |
|---|---|
| როზენდალი – ვალვაიკი | 0-3 |
| ტვენტე – ტილბურგი | 3-1 |
| ალკმაარი – ფეიენოორდი | 0-3 |
| ვიტესი – ნაიმეგენი | 2-2 |
| სიტარდი – გრააფსხაპი | 0-0 |
| სპარტა – პ.ს.ვ. | 0-1 |
| ჰერენვენი – უტრეხტი | (გადაიდო) |
| გრონინგენი – აიაქსი | (გადაიდო) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 20 | 16 | 1 | 3 | 46-17 | 49 |
| პ.ს.ვ. | 20 | 14 | 5 | 1 | 42-12 | 47 |
| ვიტესი | 20 | 11 | 5 | 4 | 40-31 | 38 |
| აიაქსი | 19 | 11 | 3 | 5 | 48-25 | 36 |
| როდა | 19 | 9 | 3 | 7 | 35-26 | 30 |
| ტილბურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 32-26 | 30 |
| ვალვაიკი | 19 | 8 | 6 | 5 | 22-16 | 30 |
| ნაიმეგენი | 20 | 6 | 10 | 4 | 28-24 | 28 |
| უტრეხტი | 18 | 8 | 3 | 7 | 34-30 | 27 |
| ბრედა | 19 | 8 | 3 | 8 | 28-32 | 27 |
| ტვენტე | 19 | 6 | 6 | 7 | 31-34 | 24 |
| ალკმაარი | 19 | 6 | 5 | 8 | 28-35 | 23 |
| გრონინგენი | 19 | 6 | 4 | 9 | 25-32 | 22 |
| ჰერენვენი | 19 | 5 | 7 | 7 | 21-28 | 22 |
| გრააფსხაპი | 20 | 4 | 2 | 14 | 24-41 | 14 |
| სპარტა | 20 | 3 | 4 | 13 | 24-42 | 13 |
| როზენდალი | 20 | 4 | 1 | 15 | 26-56 | 13 |
| სიტარდი | 20 | 2 | 6 | 12 | 14-42 | 12 |

## ინგლისი
### პრემიერლიგა. XXVI

| | |
|---|---|
| ბრედფორდი – ასტონ ვილა | 0-3 |
| ქოვენთრი – არსენალი | 0-1 |
| დერბი – სანდერლენდი | 1-0 |
| იფსვიჩი – ლიდსი | 1-2 |
| ლესტერი – ჩელსი | 2-1 |
| ლივერპული – ვესტ ჰემი | 3-0 |
| მანჩესტ. იუნ. – ევერტონი | 1-0 |
| მიდლსბრო – მანჩესტერ სიტი | 1-1 |
| ტოტენჰემი – ჩარლტონი | 0-0 |
| ნიუკასლი – საუთჰემპტ. | (გადაიდო) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 26 | 19 | 5 | 2 | 58-16 | 62 |
| არსენალი | 26 | 13 | 8 | 5 | 42-23 | 47 |
| ლივერპული | 25 | 13 | 5 | 7 | 46-27 | 44 |
| სანდერლენ. | 26 | 12 | 7 | 7 | 31-24 | 43 |
| იფსვიჩი | 25 | 12 | 4 | 9 | 37-32 | 40 |
| ლესტერი | 25 | 11 | 6 | 8 | 26-27 | 39 |
| ლიდსი | 25 | 11 | 5 | 9 | 37-33 | 38 |
| ჩელსი | 25 | 10 | 7 | 8 | 47-32 | 37 |
| ნიუკასლი | 25 | 11 | 4 | 10 | 32-35 | 37 |
| ჩარლტონი | 26 | 10 | 7 | 9 | 34-38 | 37 |
| ტოტენჰემი | 25 | 8 | 9 | 9 | 30-34 | 33 |
| ასტონ ვილა | 24 | 8 | 8 | 8 | 27-26 | 32 |
| საუთჰემპტ. | 25 | 8 | 8 | 9 | 29-34 | 32 |
| ვესტ ჰემი | 25 | 7 | 10 | 8 | 32-30 | 31 |
| ევერტონი | 25 | 7 | 6 | 12 | 26-37 | 27 |
| დერბი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-43 | 27 |
| მიდლსბრო | 26 | 5 | 11 | 10 | 30-33 | 26 |
| მანჩესტ.სიტი | 26 | 5 | 8 | 13 | 30-45 | 23 |
| ქოვენთრი | 26 | 5 | 6 | 15 | 23-45 | 21 |
| ბრედფორდი | 25 | 3 | 7 | 15 | 16-46 | 16 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა. XX ტური

| | |
|---|---|
| მიუნხენი 1860 – დორტმუნდი | 1-0 |
| ვოლფსბურგი – ბაიერნი | 1-3 |
| კიოლნი – ფრაიბურგი | 0-1 |
| კოტბუსი – შალკე | 4-1 |
| ბოხუმი – ჰერტა | 1-3 |
| ვერდერი – ჰამბურგი | 3-1 |
| შტუტგარტი – კაიზერი | 6-1 |
| უნტერჰახინგი – ლევერკუზ. | 1-2 |
| ჰანზა – აინტრახტი | 0-2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შალკე | 20 | 11 | 4 | 5 | 40-23 | 37 |
| ბაიერნი | 20 | 12 | 3 | 5 | 43-23 | 39 |
| ლევერკუზ. | 20 | 11 | 4 | 5 | 34-22 | 37 |
| დორტმუნდი | 20 | 11 | 3 | 6 | 31-26 | 36 |
| ჰერტა | 20 | 11 | 1 | 8 | 42-36 | 34 |
| კაიზერი | 20 | 9 | 4 | 7 | 27-29 | 31 |
| ფრაიბურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-21 | 30 |
| კიოლნი | 20 | 8 | 5 | 7 | 38-31 | 29 |
| ვოლფსბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 37-27 | 28 |
| ვერდერი | 20 | 7 | 6 | 7 | 28-30 | 27 |
| მიუნხენი | 20 | 7 | 6 | 7 | 25-33 | 27 |
| კოტბუსი | 20 | 7 | 2 | 11 | 26-35 | 23 |
| აინტრახტი | 20 | 7 | 2 | 11 | 25-36 | 23 |
| ჰამბურგი | 20 | 6 | 3 | 11 | 37-39 | 21 |
| შტუტგარტი | 20 | 5 | 6 | 9 | 31-35 | 21 |
| უნტერჰახ. | 20 | 5 | 6 | 9 | 20-31 | 21 |
| ჰანზა | 20 | 6 | 3 | 11 | 19-33 | 21 |
| ბოხუმი | 20 | 5 | 3 | 12 | 19-40 | 18 |

## საფრანგეთი
### I დივიზიონი. XXV ტური

| | |
|---|---|
| ნანტი – პ.ს.ჟ. | 1-0 |
| მარსელი – ოსერი | 0-1 |
| ტულუზი – ბორდო | 1-1 |
| გენგამი – ლიონი | 2-3 |
| მონაკო – მეცი | 6-1 |
| ბასტია – სედანი | 0-1 |
| სენტ ეტიენი – სტრასბური | 3-3 |
| ლანსი – ლილი | 0-1 |
| ტრუა – რენი | (გადაიდო) |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 25 | 12 | 7 | 6 | 30-18 | 43 |
| ნანტი | 25 | 13 | 4 | 8 | 41-32 | 43 |
| ლიონი | 25 | 10 | 11 | 4 | 35-22 | 41 |
| ბორდო | 25 | 10 | 10 | 5 | 32-22 | 40 |
| სედანი | 25 | 11 | 7 | 7 | 32-24 | 40 |
| ბასტია | 25 | 11 | 5 | 9 | 30-25 | 38 |
| გენგამი | 25 | 9 | 8 | 8 | 29-30 | 35 |
| ტრუა | 24 | 9 | 8 | 7 | 30-32 | 35 |
| ოსერი | 25 | 9 | 7 | 9 | 27-30 | 34 |
| რენი | 24 | 9 | 6 | 9 | 27-24 | 33 |
| პსჟ | 25 | 9 | 6 | 10 | 32-33 | 33 |
| ლანსი | 25 | 8 | 8 | 9 | 27-26 | 32 |
| მონაკო* | 25 | 9 | 5 | 11 | 38-35 | 30 |
| მარსელი | 25 | 8 | 4 | 13 | 24-32 | 28 |
| სტ. ეტიენი** | 25 | 8 | 7 | 10 | 35-38 | 24 |
| ტულუზი | 25 | 5 | 9 | 11 | 25-33 | 24 |
| მეცი | 24 | 5 | 9 | 10 | 19-33 | 24 |
| სტრასბური | 24 | 4 | 7 | 13 | 23-49 | 19 |

*მონაკოს დაკლებული აქვს 2 ქულა
**სტ. ეტიენს დაკლებული აქვს 7 ქულა



## უეფამ სეპარატიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა

ამას წინათ შოტლანდიის, ჰოლანდიის, დანიის, ბელგიის, პორტუგალიისა და შვედეთის ფეხბურთის ფედერაციათა წარმომადგენლები შეიყარნენ და გადაწყვიტეს შექმნან ატლანტიკის საფეხბურთო ლიგა. ცხადია, ასეთი სეპარატიზმი ვერ აიტანა უეფამ, რომელიც დაემუქრა კლუბებს – ვინც ამ ლიგაში გაწევრიანდება, უფლებას დაკარგავს ითამაშოს ფიფას ეგიდით ჩატარებულ ყველა შეჯიბრებაში, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაშიც.

## ყირგიზებმა მოგებით დაიწყეს

სინგაპურში დაიწყო 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი აზიის მეოთხე ჯგუფში. I ტური: სინგაპური – ყირგიზეთი 0-1, ქუვეითი – ბახრეინი 2-1.

## ბრაზილიელთა მორიგი წარმატება

სამხრეთ ამერიკის 20 წლამდე ფეხბურთელების ჩემპიონატი ბრაზილიელთა გამარჯვებით დასრულდა. ფინალურ მატჩში მათ ანგარიშით 3-0 დაამარცხეს ეკვადორელები.

## მეორე საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მონაწილე გაირკვა

ეს ასპარეზობა წელს 29 ივლისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება ესპანეთში. მონაწილეთა რაოდენობა თორმეტია. ისინი სამ ჯგუფად არიან განაწილებულები. ნახევარფინალში გავლენ ჯგუფებში გამარჯვებულნი და საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მეორეადგილოსანი.

მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი:

### აზია

**ჯუბილო ივატა (იაპონია)** — 1999 წლის აზიის სუპერთასის მფლობელი

**ალ-ხილილი (საუდის არაბეთი)** — 2000 წლის აზიის სუპერთასის მფლობელი

### აფრიკა

**აკრა ხარტს ოფ ოაკი (განა)** — 2000 წლის აფრიკის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული

**ზამალეკი (ეგვიპტე)** — 2000 წლის აფრიკის თასების თასის მფლობელი

### კონკაკაფი

**ლოს-ანჯელეს გელექსი (აშშ)** — 2000 წლის კონკაკაფის ჩემპიონთა თასის მფლობელი.

**ოლიმპია (ჰონდურასი)** — 2000 წლის კონკაკაფის ჩემპიონთა თასის ფინალისტი.

### სამხრეთ ამერიკა

**პალმეირასი (ბრაზილია)** — 1999 წლის ლიბერტადორესის თასის მფლობელი

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)** — 2000 წლის ლიბერტადორესის თასის მფლობელი

### ოკეანეთი

**ვოლონგონგ ვულვზი (ავსტრალია)** — 2001 წლის ოკეანიის ჩემპიონთა თასის მფლობელი

### ევროპა

**რეალი (ესპანეთი)** — 2000 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული.

**გალათასარაი (თურქეთი)** — 2000 წლის უეფას თასის მფლობელი.

**დეპორტივო (ესპანეთი)** — ესპანეთის ჩემპიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „მე ხისტად ვთამაშობ, ჯმაგრამ ბარბაროსი არა ვარ"

ესპანეთის ჩემპიონატის მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდი ამ ქვეყნის ტელეარხებმა არაერთგზის გაიმეორეს. ერთმანეთს ხვდებოდნენ „ვალენსია" და „ბარსელონა". „ვალენსიას" მცველი ფაბიან აიალა თავდამსხმელ სიმან საბროზას ფეხებში ჩაუვარდა და წააქცია. როცა საბროზამ წამოდგომა სცადა, მან თავდამსხმელს სხეულზე რამდენიმე ნაბიჯით გადაუარა.

როგორც საბროზამ ჟურნალისტებს განუცხადა, აიალამ მას დაუშავა თავი, მკერდიც და ფეხიც. მსაჯს აიალა არ დაუსჯია, თუმცა იგი წითელ ბარათს იმსახურებდა.

აიალამ თავი იმართლა: მას რაიმე ბოროტი განზრახვა არა ჰქონია. უბრალოდ, კადრის შენელებულმა ჩვენებამ იმაზე უარესის შთაბეჭდილება შექმნა, ვიდრე სინამდვილეში მოხდა.

— არ მინდა იმის თქმა, რომ ძალიან რბილად ვთამაშობ. დიახ, ხისტად ვთამაშობ, მაგრამ არასოდეს ვიკადრებ მოწინააღმდეგეს რაიმე ზიანი მივაყენო — ამბობს აიალა, რომელიც „ვალენსიაში" სეზონის დაწყების წინ „მილანიდან" გადავიდა — თუ სადისციპლინო კომიტეტი დამსჯის, ეს მოულოდნელი სიურპრიზი იქნება. მე სიმანს ბოდიშს კი ვუხდი, მაგრამ ეს იყო ისეთი შეჯახება, რომლის მსგავსიც თითოეულ მატჩში მრავლად გვხდება.

## ყველაფერი შიფოს ეკუთვნის

36 წლის ენცო შიფო ბელგიურ „შარლერუაში" თანამდებობების „კოლექციონერი" გახდა. აქამდე იგი კლუბის აქციონერიც იყო და ვიცე-პრეზიდენტიც, ამასთან, თამაშობდა კიდეც. ახლა, როცა თამაშს თავი დაანება, იგი კლუბის მთავარი მწვრთნელიც გახდა. საინტერესოა, რომ ადრინდელ მწვრთნელ მანიუ ფერერის განთავისუფლებისათვის სათანადო საფუძველი არც კი არსებობდა, რახან ამ მომენტისათვის „შარლერუა" მისთვის საპატიო მეხუთე ადგილზე იყო.


რივალდო


რაული

## რა ღირს ეროვნული ნაკრები?

**რა ღირს ესა თუ ის ეროვნული ნაკრები? მათი ფასი, ექსპერტების აზრით, თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ვფიქრობთ, ჩვენი გულშემატკივრების ინტერესიც უნდა გამოიწვიოს.**

ყველაზე ძვირადღირებული ამჟამად ***ინგლისის*** ნაკრებია და მისი ფასი დაახლოებით 310 მილიონი დოლარია. აი ცალკეული მოთამაშეების შეფასება: მეკარე რობინსონი — 4 მილიონი, დაცვა — ჰ. ნევილი — 8, სოლ კემპბელი — 20, რიო ფერდინანდი — 25, გრეი — 5. შუა ხაზი — ბექჰემი — 60, დაიერი — 30, სქოულზი — 40, ფრენკ ლამპარდი — 20, თავდასხმა — ჰესკი — 28, ოუენი — 70. სწორედ ეს მოთამაშეები ჩათვალეს ჟურნალისტებმა ძირითად ფეხბურთელებად, სხვების დასახელება, რა თქმა უნდა, ნაკრების ფასში ცვლილებებს შეიტანდა.

მეორე ადგილზე ***ესპანეთის*** ნაკრებია — 244 მილიონი. მეკარე კასილიასი — 20, დაცვა — მიჩელ სალდაგო — 16, აბელარდო — 5, იერო — 15, არანსაბალი — 5, შუა ხაზი — ეჩებერია — 8, გვარდიოლა — 18, ლუის ენრიკე — 15, მენდიენტა — 60, თავდასხმა — რაული — 70, ურსაისი — 12.

***საფრანგეთის*** ნაკრები მესამეა — 222,9 მილიონი დოლარი. მეკარე ბარტეზი — 16. დაცვა — სანიოლი — 7,4. დესაიი — 6,8, სილვესტრი — 6, ლებეფი — 3,7, ნახევარდაცვა — ვიეირა — 20, პეტი — 15, ზიდანი — 70, თავდასხმა — ტრეზეგე — 20,5, ანრი — 25, ანელკა — 32,5 მილიონი.

***გერმანიის*** ნაკრების ღირებულებაა 168,5 მილიონი დოლარი. მეკარე კანი — 30, დაცვა — ნოვოტნი — 8, ლინკე — 2,5, რემერი — 4, შუა ხაზი — შოლი — 40, დაისლერი — 3, იერემისი — 9, ციგე — 8, ჰამანი — 12, თავდასხმა — იანკერი — 20, ბირჰოფი — 32.

***ბრაზილიის*** ნაკრების ფასი შედარებით ნაკლებია — 162 მილიონი. მეკარე დიდა — 6, დაცვა — კაფუ — 4, ანტონიო კარლოსი — 3, ევანილსონი — 3, რობერტო კარლოსი — 22, შუა ხაზი — ალექსი — 7, ვამპეტა — 8, ფლავიო კონსეისაო — 16, რივალდო — 62, თავდასხმა — რომარიო — 10, რონალდინიო გაუშო — 21.

***პორტუგალიის*** ნაკრები მეექვსეა — 153,5 მილიონი. მეკარე ბაია — 7, დაცვა — აბელ შავიერი — 5, კოუტუ — 4, ბეტუ — 6, სეკრეტარიუ — 2. შუა ხაზი — ფიგუ — 57, პაულუ სოუზა — 8, რუი კოშტა — 20, სერჟიუ კონსეისაო — 12,5. თავდასხმა — ჟოაო პინტუ — 8, ნუნუ გომეში — 24.

***რუსეთის*** ნაკრები 58,2 მილიონად ფასდება. მეკარე ნიგმატულინი — 1,7. დაცვა — თეთრაძე — 1, ონოპკო — 2, სმერტინი — 5. შუა ხაზი — ხლესტოვი — 4, ხოხლოვი — 4, ტიტოვი — 10,5, ალენიჩევი — 3,5, კარპინი — 14,5. თავდასხმა — მოსტოვოი — 7, პანოვი — 5 მილიონი.


ეფენბერგი


ფიგუ


ზიდანი (№10)


ოუენი

## სამაგიდო კალენდარზე ფეხბურთელები არიან გამოსახული

იტალიაში რამდენიმე სამაგიდო კალენდარი გამოიცა, რომელზეც ფეხბურთელების სურათებია გამოსახული. ფეხბურთელები წელამდე შიშველნი არიან, მთელი შემოსავალი გულით დაავადებულ ბავშვთა ფონდს გადაეცემა.

იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც კალენდრების გარეკანზე გამოსახული არიან ზიდანი, შევჩენკო, ვერონი, ზეედორფი, ვიერი. მათი შეძენა ახლა მრავალ ქვეყანას სურს, იაპონიიდან დაწყებული ბრაზილიამდე.

2001 წლის კალენდარზე ალესანდრო დელ პიეროს სურათია, 2002 წლის კალენდარზე კი ფრანჩესკო ტოტის სურათი იქნება.

## პრაქტიკოსი ბრაზილიელები

მიუნხენის „ბაიერნის" ბრაზილიელი ფეხბურთელები ჯოვანე ელბერი და პაულო სერჟიო ცხოვრებისეულ საკითხებშიც „არ იბნევიან". ელბერი ამას წინათ ბრაზილიაში იყო და გადაწყვიტა თავისი კაპიტალი კარგად დაებანდებინა. კერძოდ, მან ფერმა იყიდა 2000 ძროხით. რაც შეეხება პაულო სერჟიოს, მას ნაკლებად აინტერესებს ფერმა, იყიდა მოდური ტანსაცმლის სამი მაღაზია.

აი, რა თქვა თვით პაულო სერჟიომ.

— ეს ფულის კარგი დაბანდება გახლავთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოდა კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, ჩვენი საქონელი ყოველთვის კარგად გასაღდება, რადგან დროის მოთხოვნილებებს ვითვალისწინებთ. სახლში მე საკუთარი კოლექცია მაქვს.

## ყველა მსოფლიო ჩემპიონობაზე ოცნებობს

**— ცოტაოდენს თუ ვიოცნებებთ, მეც, ისევე, როგორც ყველა სხვა ფეხბურთელს, მსოფლიო ჩემპიონობა მსურს — თქვა რუსმა ფეხბურთელმა, რომელიც ახლა, „პარი სენ-ჟერმენში" თამაშობს.**

**ჟურნალისტმა მოუსმინა მას და ხუმრობით უთხრა:**

**— მაშინ რაღას ისურვებდით, ბევრს თუ იოცნებებთ?**

## აღსდგება „ღერძი" რუი კოშტა – ფიგუ?

მადრიდის „რეალმა" 22 მილიონი დოლარი შესთავაზა „ფიორენტინას" პორტუგალიის ნაკრების ცნობილ ნახევარმცველ რუი კოშტაში. „რეალის" ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი გახლავთ შუა ხაზის თამაშის გაძლიერება და რუი კოშტა — ფიგუს ცნობილი „ღერძის" აღდგენა.

## ყველაზე მეტს ტოტის უხდიან

**მას შემდეგ, რაც „რომას" თავდამსხმელმა ფრანჩესკო ტოტიმ თავის კლუბთან ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც 29 მილიონი დოლარი ღირს, იგი იტალიაში ყველაზე უფრო ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა.**

**ამ მაჩვენებლით ტოტიმ ახლა უკვე თავის კოლეგას „რომაში", არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას გადააჭარბა.**

## როცა პობორსკიმ მთელი „ლაციო" მოატყუა

ჩეხ ნახევარმცველ კარელ პობორსკის გულშემატკივრებმა პირველად 1996 წელს ინგლისში, ევროპის პირველობაზე მიაქციეს ყურადღება, როცა გადამწყვეტი გოლი გაიტანა პორტუგალიელთა კარში. მაშინ მან დიდი აღიარება დაიმსახურა, მაგრამ სრულიად დაიკარგა „მანჩესტერ იუნაიტედში", იძულებული გახდა ინგლისი დაეტოვებინა და ლისაბონის „ბენფიკაში" გადაბარგებულიყო. არც იქ მიაღწია 28 წლის ნახევარმცველმა რაიმე წარმატებას, ამიტომ ბევრისათვის სრულიად მოულოდნელი იყო 2001 წლის იანვარში მისი რომის „ლაციოში" მიწვევა. აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით თვით პობორსკიმ.

— ის, რომ იტალიის სერია A მსოფლიოში უძლიერესია, ეს ყველასათვის ცხადია. შესაძლოა აქ უფრო გამიღიმოს ბედმა, ყოველ შემთხვევაში, ახლა უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ნისლიან ალბიონში.

საინტერესოა, რომ „ლაციოში" პირველ ვარჯიშში, რომელსაც გუნდთან გამოთხოვების წინ სვენ-გორან ერიქსონი ატარებდა, პობორსკის თავისებური რამ შეემთხვა. ერიქსონმა მოთამაშეებს დაავალა ბურთი ერთი შეხებით გადაეცათ ერთმანეთისათვის. ისინიც ასე მოიქცნენ, სანამ ბურთი პობორსკისთან აღმოჩნდებოდა. იგი ადგა, ერთი წამითაც რომ არ უფიქრია, და ყველას მოტყუება დაიწყო. ათ კაცს რომ აუარა გვერდი, გახარებულმა შეხედა მწვრთნელს, ის კი განრისხდა. მაშინ პობორსის ჩეხმა თანამემამულე პაველ ნედვედმა განუმარტა, რა დავალება მისცა ერიქსონმა მოთამაშეებს, მან კი იტალიურის უცოდინარობის გამო ვერაფერი გაიგო.

## კონსტანტინე სარსანია – ფიფას ოფიციალური აგენტი

**იმ აგენტებს შორის, რომლებიც ოფიციალურად არიან აღიარებული ფიფას მიერ, რუსეთის წარმომადგენელთაგან ყველაზე უფრო ცნობილია ქართველი კონსტანტინე სარსანია. იგი ამავე დროს რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მენეჯერია. აი რამდენიმე ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.**

● ***როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები ამ პროფესიაში, რომელიც რუსეთში ნაკლებად არის გავრცელებული?***

— ჯერ ვლადიკავკაზის „ალანიაში" ვმუშაობდი მენეჯერად. შემდეგ დავუკავშირდი ფიფას აგენტების საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ ლუი დევრიზს (საფრანგეთი). სამი წლის განმავლობაში მისგან ვითვისებდი ამ პროფესიას.

ახლა კონსტანტინე სარსანია მუშაობს რუსეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ესპანეთის სატრანსფერო ბაზრებზე.

● ***რა საკითხები შედის ფიფას აგენტის კომპეტენციაში?***

— ნამდვილმა აგენტმა სწორად უნდა შეაფასოს სიტუაცია, მოთამაშეს საშუალება მისცეს მხოლოდ ფეხბურთით იყოს დაკავებული, იგრძნოს, რომ მასზე ზრუნავენ. აგენტის მთავარი მიზანი მოთამაშის კონტრაქტის სწორად შედგენაა, რათა, თუკი იგი არ შესრულდა, გამოცდილი ადვოკატი ნახოს, რომელიც მოთამაშის ინტერესებს დაიცავს. კლუბიდან კლუბში გადასვლის საკითხებიც აგენტის კომპეტენციაში შედის.

● ***აგენტის ურთიერთობა ფეხბურთელთან სრულ ორმხრივ ნდობაზე უნდა იყოს დამყარებული?***

— ნდობა მთავარია, თუკი იგი არ არსებობს, ქაღალდზე აღბეჭდილი ყოველგვარი მოლაპარაკება არაფერს ნიშნავს.

● ***არის თუ არა აგენტის მოტყუების შემთხვევები?***

— ფიფას აგენტები, რამდენადაც ვიცი, არავის მოუტყუებია. ისე კი არსებობს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისადმი, მოთამაშეთა და აგენტთა ფიფას სპეციალური კომიტეტისადმი, რომლის პატრონაჟსაც მიშელ პლატინი ახორციელებს, მიმართვის პრაქტიკა.

● ***შეგიძლიათ დაასახელოთ მოთამაშეები, რომელთა ინტერესებსაც იცავთ?***

— ზუსტი რიცხვის დასახელება გამიჭირდება. მე ხომ სააგენტო საქმიანობას 7 წელია ვეწევი. აქედან 4 წელი დამოუკიდებლად. იმაში უკვე ვერკვევი, რა მინდა მე და რა უნდა ფეხბურთელს, ვისთან ვიმუშაო და ვისთან — არა. თუკი წინასწარ ვხვდები, რომ ამა თუ იმ მოთამაშეს ვერაფრით დავეხმარები, ბოდიშს ვუხდი მას და საქმეც მთავრდება. ამას თავიდანვე ვერ ისწავლი, გამოცდილებაა საჭირო. ისე კი, შემიძლია ჩამოვთვალო რამდენიმე გვარი, რომლებთანაც ვმუშაობ: პანოვი, ლევიცკი, იანკაუსკასი, ტოჩილინი, შამბერასი... ჩამოვიყვანე რუსეთში ფრანგი დიუვო. ვიცოდი, რომ მოსკოვის „ტორპედოს" სჭირდებოდა განაპირა ნახევარმცველი. ჩემმა კოლეგებმა სწორედ დიუვოს გაუწიეს რეკომენდაცია და ასე აღმოჩნდა იგი რუსეთში.

● ***ძირითადად თქვენ მუშაობთ რუსეთსა და ფრანგულენოვან ქვეყნებში?***

— არა, ეს აუცილებელი არ არის. ისე კი, ყველაზე მეტ კლუბს საფრანგეთში ვიცნობ, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ვთამაშობდი.

● ***რუსული კლუბების ძირითადი შემოსავალი მოთამაშეების გაყიდვაა. ამიტომ აგენტების ოფიციალური სისტემის შექმნა კლუბების ინტერესებს ეწინააღმდეგება. მათ სურთ თვითონ დაიჭირონ საქმე უშუალოდ უცხოურ კლუბებთან. ამიტომ ეკიდებიან ისინი აგენტებს უარყოფითად?***

— არა, ეს ადრე იყო. ახლა კლუბებმა გაიგეს, რომ აგენტები საჭირო ხალხია. გახსოვთ, რა სიტუაცია შეიქმნა ვოლგოგრადის „როტორის" ცნობილ ფეხბურთელ ოლეგ ვერეტენიკოვის გარშემო? „როტორის" პრეზიდენტი გორიუნოვი ამბობდა: „მე არა მაქვს საქმე არც ერთ აგენტთან, მათთან ლაპარაკიც არა მსურს. პირდაპირ უცხოურ კლუბთან დამაკავშირეთ". მაგრამ რა იცის უცხოურმა კლუბმა, ვინ არის გორიუნოვი, როგორ დაიჭიროს საქმე მასთან? მას არ ესმოდა ეს საკითხი, ამიტომაც ვერეტენიკოვმა დიდხანს ვერ შეძლო სადმე გადასვლა.

# სპორტული პლანეტა

# ნბა:

## ლიდერმა კვლავ წააგო, ამჯერად ვლადიმერ სტეფანიას გუნდთან

**ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში ისევ სენსაცია მოხდა და მისი ავტორი ისევ „ფილადელფია“ გამოდგა — ამჯერად ლიდერი ერთ-ერთ აუტსაიდერთან — „ნიუ-ჯერსისთან“ დამარცხდა 86:96. ფილადელფიელები ზედიზედ მეორედ თამაშობენ წარუმატებლად. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ გუნდში კრიზისი იწყება.**

**ნიუ-ჯერსი — ფილადელფია 86:96**
მარბერი — 34, ვან ჰორნი — 21, მარტინი — 20; აივერსონი — 32, რეტლიფი — 22.
**მაიამი — ნიუ-იორკი 100:103 (ოვერტაიმში)**
ჯონსი — 21, მეისონი — 20, გრანტი — 15; რაისი — 29, უორდი — 19, ჰიუსტონი — 17.
**ლოს-ანჯელეს ლეიკერსი — საკრამენტო 100:94**
ბრაიანტი — 26, ორი — 20, ფოსტერი — 13; უებერი — 25, ჯექსონი — 17, კრისტი — 14.
**ბოსტონი — კლივლენდი 103:82**
უოკერი — 36, პირსი — 22; მილერი — 17, ჯექსონი — 12.
**ფინიკსი — შარლოტი 85:82**
როჯერსი — 16, დელკი — 16, რობინსონი — 15; მაშბერნი — 27, კოულმენი — 12.


შეტევაზეა პოლ პირსი

### აღმოსავლეთის კონფერენცია

#### ატლანტიკის დივიზიონი

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 35 | 13 | 72,9 |
| ნიუ-იორკი | 28 | 17 | 62,2 |
| მაიამი | 29 | 20 | 59,2 |
| ორლანდო | 23 | 23 | 50,0 |
| ბოსტონი | 21 | 26 | 44,7 |
| ნიუ-ჯერსი | 15 | 34 | 30,6 |
| ვაშინგტონი | 12 | 36 | 25,0 |

#### ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 28 | 17 | 62,2 |
| ტორონტო | 24 | 23 | 51,1 |
| შარლოტი | 25 | 24 | 51,0 |
| ინდიანა | 21 | 26 | 44,7 |
| კლივლენდი | 20 | 26 | 43,5 |
| დეტროიტი | 18 | 30 | 37,5 |
| ატლანტა | 16 | 30 | 34,8 |
| ჩიკაგო | 6 | 40 | 13,0 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 31 | 15 | 67,4 |
| სან-ანტონიო | 29 | 15 | 65,9 |
| მინესოტა | 31 | 18 | 63,3 |
| დალასი | 30 | 18 | 62,5 |
| დენვერი | 27 | 21 | 56,3 |
| ჰიუსტონი | 22 | 25 | 46,8 |
| ვანკუვერი | 13 | 34 | 27,7 |

#### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| საკრამენტო | 31 | 13 | 70,5 |
| პორტლენდი | 34 | 15 | 69,4 |
| ლეიკერსი | 30 | 16 | 65,2 |
| ფინიკსი | 27 | 19 | 58,7 |
| სიეტლი | 27 | 23 | 54,0 |
| კლიპერსი | 15 | 33 | 31,3 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 32 | 30,4 |

# ფრიადი გამარჯვება ჰოლანდიურ თოვში

(მეორე გვერდიდან)

ის, მჭედლიშვილი, ურჯუკაშვილი და ხამაშურიძე) დედამიწამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ჯერჯერობით აქ, კავკასიაში, ვერაფრით დაგვიდგენია. ცალკე სათქმელი ფრანგი სპეციალისტის მიერ მოაზრებული სიახლე, რომელიც, თუ არ გვეშლება, უნიკალურია სანაკრებო რაგბისთვის: სორელმა ქართველთა ფრთის ფორვარდები (6 და 7 ნომრები), ვასილ კაცაძე და გია ლაბაძე ბეკებში, გარემარბებად (11 და 14 ნომრებად) გაამწესა, მაგრამ ვაი, რომ ეს ჩაუქი მორაგბეები მატჩის მეტი წილი უბურთოდ წრიალებდნენ. დიახ, მოედანზე თოვლი იდო და მთელი მატჩიც სუსხიანად წვიმდა. ჭირდა გაშლილად ბურთაობა. ჩვენმა ღონიერმა და მობილურმა შერკინებამ მაგრად დაიწყო და მთელი მატჩი თამაშის სადავეები ხელიდან აღარც გაუშვია. განსაკუთრებით გამოჩინა თავი 8 ნომერმა ილია ზედგენიძემ, ვინაც რამდენჯერაც აიღო ბურთი, იმდენჯერ დიდი მანძილით წინ წაწია იგი. მაგრამ უმჭედლიშვილოდ შუმახერმა გვიგო და გვიგო დერეფანი და ეს იყო ქართველთა ერთადერთი ზადი ამ დღეს. ჩვენები მე-3 წუთზე დაწინაურდნენ პავლე ჯიმშელაძის საჯარიმო გოლით. ამას მალე მოჰყვა ჯგუფური, ძალისმიერი ლელო, რომელიც ჰოლანდიელებმა ლევან ცაბაძეს ჩაუთვალეს, ქართველთა ვერსიით კი იგი გაიტანა ნაკრების ახალბედა გრეგორი იაშვილმა, ვინც, არც მეტი, არც ნაკლები, გამოჩენილი ფრანგი მორაგბის, მიშელის უფროსი ვაჟია და ბორჯღალოსან კვართს ჯერ კიდევ ორი წლის წინ მოიზომებდა, რაღაც ჭირად ფიჯზე ფეხი რომ არ მოეტეხა. მერე ჰოლანდიამაც გამოიღო ხელი, მაგრამ საჯარიმოს კარში რომ ურტყამდა, ხერარდ ფიხურსი მოსრიალდა და წაიქცა. მერე კიდევ, ჰოლანდიამ ლელოს გატანა დაიჩემა და კარში დარტყმის მაგივრად ჯარიმიდან კიდეზე აგდებდა ბურთს, მაგრამ ვერა გამოუვიდა რა. მასპინძელთა შუა ბეკებმა სლიპინა მოედანზე ჩვენების ზურგში ბურთის ფეხით შეცურებაც სცადეს, მაგრამ აქედან მარტო იმას გამორჩნენ, რომ ფიხურსმა ერთი საჯარიმო შეაგდო, რასაც ჯიმშელაძემ შესვენებამდე საჯარიმოთივე უპასუხა. განახლდა მატჩი და ქართველებმა ხელდახელ, ბეკებით გააჩაღეს ბურთაობა, მაგრამ რაკი ფეხი უცურდებოდათ და ბურთსაც ხეირიანად ვერ იმორჩილებდნენ, ლელო ისევ ძალით გაიტანეს. ამჯერად სორელის მიერ ბოლო მომენტში ხმობილმა ვიქტორ დიდებულიძემ ისახელა თავი და სხვაობამ 15 ქულას უწია. კვანძი მატჩის ბოლო ხუთ წუთში გაიხსნა. ევროპელი მოყვარულები ველარ დაუდგნენ საფრანგეთში დაფუძნებულ კავკასიელ პროფესიონალებს და გატყდნენ. დიდებულიძემ წინას ტყუპისცალი ლელო გაიტანა. დაიწყო ჰოლანდიამ თამაში ცენტრიდან და ბურთი მიუვიდა ბადრი ხეხელაშვილს, ვინაც უმალ 70-მეტრა სოლოთი ბოლოჯერ დაალელოვა მეტოქე. „ტიტებმა“ ბოლოს კიდევ გაიბრძოლეს. მათი ბურჯი რუბენ ბეილი ჩვენი ლელოსკენ გაიჭრა, მაგრამ ქართველებმა იგი ზედ კარის ხაზთან ალაგმეს. ასე და ამგვარად, მოპოვებულია პირველი გამარჯვება, მაგრამ კიდევ ცხრა მატჩია სათამაშო (ამათგან ოთხი, წელსვე). შემდეგ შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ გამართავენ იქეთა შაბათს, 17 თებერვალს. ისინი თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, პორტუგალიას უმასპინძლებენ. მატჩი 15 საათზე დაიწყება.

### ესპანეთი – რუსეთი 29:30

ესპანეთი - ლ: ველასკო (მე-5 წუთზე), 8ს: კოვალენკო (1, 24, 40), ალონსო-ლასერასი (47, 55, 61, 72, 75) რუსეთი - 4ლ: ნიკოლაიჩუკი (16), ზაკარლიუკი (20), გრაჩოვი (30, 45); 2გ: სიმონოვი (16, 20), 2ს: სიმონოვი (10, 78) მადრიდის უნივერსიტეტის სპორტული კომპლექსის სტადიონზე, ხუთი ათასი ქომაგის თვალწინ, ესპანეთმა რუსეთს კინაღამ მოუგო წაგებული მატჩი, მაგრამ მაინც სამართალმა ჭამა პური და ბოლო გოლი რუსებმა შეაგდეს.

### პორტუგალია – რუმინეთი 0:47.

რაც რუმინეთმა ნოემბერში შინ საზარლად, 9:82 წააგო ახალი ზელანდიის მეორე ნაკრებთან, კარპატელებმა დაითხოვეს თავიანთი ზელანდიელივე მოძღვარი ჯონ ფილიპსი და მწვრთნელად აღადგინეს ბუქარესტის „დინამოს“ თავკაცი, მირჩა პარასკივი. ამას ლეგიონერთა მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ჰოდა, პარასკივმა გეზი ახალგაზრდებზე აიღო და ახალი ნაკრები ცხრა შინაური კლუბის ბაზაზე შეადგინა, ხოლო მამლუქთაგან უხმო მხოლოდ ხუთ პერსპექტიულს: ოვიდიუ ტონიცეს, ფლორინ კოროდიანუს, პეტრე მიტუს, ვალენტინ მაფტეისა და მიხაი ვიორიანუს. გადახალისებული გუნდი პორტუგალიაში მატჩამდე ერთი კვირით ადრე ჩავიდა და ბარაქიანად წაივარჯიშა. ამის მერე რა გასაკვირია, თუ რუმინელებმა 9 ნომერ მიტუს ხაწყის სამ საჯარიმოს მალე პირველი ლელოც მიაყოლეს და უსუსური მეტოქე თანდათან მეთოდურად დაჯაბნეს.

მასალა მოგვაწოდა
ზაალ ბიბინეიშვილმა

## ავსტრიის ნაკრების მწვრთნელი დაიღუპა

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ავსტრიის თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა გუნდის მთავარი მწვრთნელი ალოიზ ლიპბურგერი, რომელიც გერმანიის ქალაქ ვილინგენში ჩატარებული მსოფლიო თასის ეტაპიდან შინ ბრუნდებოდა, ავტოკატასტროფაში მოხვდა და ექიმთა მცდელობის მიუხედავად, დაიღუპა.

### ხელბურთი


გამარჯვების სიხარული

## ფრანგები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

საფრანგეთში დასრულდა ვაჟთა ნაკრები გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალში მასპინძლებმა მოუგეს შვედეთის გუნდს ანგარიშით 28:25 (ოვერტაიმში).

### ოლიმპიზმი

## საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების ობიექტების მშენებლობა საფრთხეშია

მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, როგორც ცნობილია, ათენში ჩატარდება. ამ ქალაქის შემოგარენში, სახელდობრ, ფალერეში, კარგა ხანია უნდა დაეწყოთ სპორტკომპლექსის მშენებლობა, რომელშიც შედის ოთხი დარბაზი თითოეული 15 ათასი მაყურებლის ტევადობით. იქ უნდა ჩატარდეს შეჯიბრება ფრენბურთში, ხელბურთში, ძიუდოში, ტაეკვანდოში და კრივში. ეს სპორტნაგებობები უნდა აეშენებინათ ძველი იპოდრომის ადგილზე. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საბერძნეთის მთავრობამ უარი განაცხადა ამ გეგმების ხორცშესხმაზე და, უპირველეს ყოვლისა, ეს ფინანსური მოსაზრებებით მოხდა. ოლიმპიური თამაშების ორგკომიტეტმა ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს აცნობა. ამჟამად ეძებენ გამოსავალს. არის მოსაზრება, რომ აღნიშნულ სახეობებში შეჯიბრება ჩატარდეს ფლისვოსსა და ელინიკონში.

### პროფესიული კრივი

## ცზიუ ორგზის ჩემპიონი გახდა



შაბათს ლას-ვეგასში კონსტანტინ ცზიუმ (სურათზე) დაამარცხა ამერიკელი შარმბი მიჩელი და WBC ვერსიით პირველ ქვესაშუალო წონაში ჩემპიონის ტიტულს კიდევ ერთი ვერსიის რჩეული მოკრივის ტიტული შემატა.

ამჯერად ცზიუ ყოფილ სსრკ ქვეყნებიდან პირველი მოკრივეა, ვინც ჩემპიონობა ორი ვერსიით მოიპოვა.

### ჰოკეი

## დენვერში ლამაზი სანახაობა შედგა



**კვირას დენვერში დიდი შოუ-ჰოკეი გაიმართა — ჰოკეის ნაციონალური ლიგის ყველა ვარსკვლავთა რიგით 51-ე მატჩი. იგი ყველაზე შედეგიანი გამოდგა.**

**უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაში მოთამაშეებს საჯარიმო წუთები არ დაუმსახურებიათ. ისინი ძალზე კორექტულად ირჯებოდნენ. ყველაზე ნაყოფიერად მოქმედებდა ამერიკელთა სამეული ბილ გერინი — ტონი ამონტი — დაგ უეიტი, მათ ამ დღეს 13 ქულა დააგროვეს (6 გოლი და 7 გადაცემა). მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ სწორედ ისინი გახდებიან ყველაზე შედეგიანები აშშ-ს ნაკრებში მომავალ ოლიმპიადაზე სოლტ-ლეიკ-სიტიში. მარჯვენა გარემარბი ბილ გერინი გახდა მატჩის ყველაზე სარგებლიანი მოთამაშე (იხ. ფოტოზე).**

**თავად მატჩი კი ასე დასრულდა: ჩრდილოეთ ამერიკა — მსოფლიოს ნაკრები 4:12 (3:3, 6:4, 5:5).**

# დევენპორტმა მოუგო ჰინგისს

პირველი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შემდეგ იმართება, ტოკიოში ქალთა დიდი ასპარეზობაა. მასში ავსტრალიიდან ბევრი ცნობილი ოსტატი ჩავიდა. დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა მატჩმა ძველ მეტოქეებს — მარტინა ჰინგისსა (შვეიცარია) და ლინდსეი დევენპორტს (აშშ) შორის. დევენპორტმა, რომელიც შვეიცარიელისათვის მეტად მძიმე მოწინააღმდეგედ ითვლებოდა, ამჯერადაც მოუგო მსოფლიოს №1 ჩოგბურთელს და პირველ პრიზს დაეუფლა.

# მარტინა ჰინგისი: ფიზიკურ მონაცემებს მეტისმეტ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ

თანამედროვეობის №1 ჩოგბურთელ მარტინა ჰინგისს ჰკითხეს, რა მნიშვნელობა აქვს ქალთა ჩოგბურთისათვის იმას, რომ ზოგი იგებს თავისი ფიზიკური მონაცემების და არა მაღალი ტექნიკის ხარჯზე.

— ათლეტურობას მეტისმეტად დიდ როლს ნუ მიანიჭებთ. ასე, მაგალითად, პირველი ჩოგბურთელის წოდებას ატარებდნენ ანდრე აგასი და მარჩელო რიოსი, რომლებიც მაინცდამაინც მძლავრი მოთამაშეები არ არიან. ქალებიდან დავასახელებ ათლეტურ მორესმოს, იგი სწრაფად თამაშობს, მაგრამ მისი დამარცხება შეიძლება.

— და მაინც რომელია უფრო მნიშვნელოვანი ჩოგბურთში: ტექნიკა, ფიზიკური მომზადება თუ ფსიქოლოგიური სიმტკიცე?

— ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მე მაინც უპირატესობას ტექნიკას მივაკუთვნებდი.

# თენგიზ ხერხეულიძე



70 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს განათლების სამინისტროს წარჩინებული მუშაკი, მრავალი სპორტის ოსტატის, მათ შორის მსოფლიოს, ევროპის, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონებისა და რეკორდსმენების აღმზრდელი, წარსულში ცნობილი სპორტსმენი ტყვიის სროლაში, თენგიზ ხერხეულიძე.

1949 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლა და უმალვე შეუდგა შრომით საქმიანობას საქჰიდროენერგომშენის საპროექტო კანტორაში ტექნიკოსად. 1956-60 წლებში სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, შემდეგ იქვე დარჩა ასპირანტურაში. 1968 წლიდან ფარიკაობის კათედრაზე უფროსი მასწავლებლია. 1975 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი, უფროსი მასწავლებელი იყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე. ერთდროულად სხვადასხვა წლებში მუშაობდა განათლების სამინისტროს სასწავლო ცენტრში მწვრთნელად ტყვიის სროლაში, საქართველოს ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელად როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში, საქართველოს სპორტკომიტეტში სახელმწიფო მწვრთნელად და სხვ.

როგორც მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელს ხშირად იწვევდნენ უცხოეთში კონსულტანტ-მწვრთნელად, ნაკრებ გუნდებს ამზადებდა ესპანეთში, გერმანიაში, ტაილანდში ... არის 30-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, ამასთან, დანერგილი აქვს ორიგინალური ხელსაწყოები, რომელთაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საწვრთნო მუშაობაში.

თ. ხერხეულიძის აღზრდილ სპორტსმენთა შორისაა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი შ. ქველიაშვილი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე მ. პაპავა, ცნობილი ტყვიის მსროლელები თ. მეგრელიშვილი, თ. კვანტალიანი და სხვ.

თენგიზ ხერხეულიძე იყო მეტად გულისხმიერი, ყურადღებიანი, თბილი ადამიანი, დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებსა და აკადემიის თანამშრომლებს შორის. ვინც ახლოს იცნობდა, არასოდეს დაივიწყებს მის კეთილ, ადამიანურ თვისებებს და ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია.

პანაშვიდი: 6,7.02, 16 სთ. დაკრძალვა 8.02. 14 სთ. მისამართი: წყნეთი, რუსთაველის, 7.

საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სპორტული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფედერაციის გამგეობის წევრი

თენგიზ ხერხეულიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ასოციაციას ახლა სხვანაირად ეწოდება

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციას ATP Tovr-ს ამიერიდან სახელი შეუმოკლდა და მას ახლა უბრალოდ ATP ეწოდება. რაც შეეხება ამ ორგანიზაციის საფირმო ნიშანს, ისიც რამდენადმე შეიცვალა, თუმცა, საბოლოოდ ძველებურად, ითვლება ჩოგბურთელი, რომელიც ბურთს აწოდებს.

*მზადდება გამოსაცემად წიგნი „თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და მისი აღზრდილები“.*

*კურსდამთავრებულებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ასახვა ჰპოვონ აღნიშნულ წიგნში, გთხოვთ ცნობისათვის გამოგვეხმაუროთ თსუ-ს თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში (VI კ. II სართ. ოთახი 2). ყოველ ორშაბათსა და ოთხშაბათს 10-15 საათებში მ.წ. 28 მარტამდე.*

***თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნ. თანამშრომელი.***
***იზოლდა ხაინდრავა***

# ტოტო ლოტო №04

ტირაჟის შედეგები 3–4.02.2001

**ლოტო 6-42** 10 14 25 32 39 41

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 | x | 3622.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 | x | 97.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 9 | x | 14.30 ლარი | |
| 3 რიცხვი | 134 | x | 1.60 ლარი | |

**სუპერ 7** 8 0 9 4 0 7 7

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 0 9 4 0 7 7 — | 50,000 ლარი | 0 7 7 — | 50 ლარი |
| 0 9 4 0 7 7 — | 15,000 ლარი | 7 7 — | 3 ლარი |
| 9 4 0 7 7 — | 5,000 ლარი | 7 — | 0.50 ლარი |
| 4 0 7 7 — | 500 ლარი | | |

**ტოტო ფეხბურთი** 1 2 2 1 2 2 2 2 2 1 X 2

12 მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 | x | 12300.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 1 | x | 461.00 ლარი | |
| 10 შედეგი | 5 | x | 46.70 ლარი | |

05-ე ტირაჟის პროგრამა (10-11. 02. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ინგ. | არსენალი – იფსვიჩი | | 60-20-20 |
| 2. ინგ. | ჩელსი – მანჩესტერ იუნ. | | 20-40-40 |
| 3. ინგ. | სანდერლენდი – ლივერპული | | 40-30-30 |
| 4. იტ. | ფიორენტინა – პარმა | | 60-20-20 |
| 5. იტ | ბოლონია – რომა | | 20-40-40 |
| 6. იტ | ბრეშა – უდინეზე | | 20-30-50 |
| 7. გერ. | დორტმუნდი – ვერდერი | | 50-30-20 |
| 8. გერ. | ფრაიბურგი – ჰანზა | | 40-30-30 |
| 9. გერ. | ჰერტა – ვოლფსბურგი | | 40-30-30 |
| 10. ესპ. | რასინგი – ბარსელონა | | 20-20-60 |
| 11. ესპ. | მალაგა – მალიორკა | | 30-40-30 |
| 12. ესპ. | ვალიადოლიდი – ლას პალმასი | | 40-40-20 |

**ტოტო ფეხბურთი** 2 2 1 1 1 2 2 2 2 1 1

11 მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 | x | 77.80 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 | x | 9.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 0 | x | 9.70 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

05-ე ტირაჟის პროგრამა (10-11. 02. 2001)

| | | |
|---|---|---|
| 1. გერ. I | შალკე – მიუნხენ 1860 | 50-30-20 |
| 2. გერ. I | ბაიერნი – შტუტგარტი | 50-30-20 |
| 3. გერ. I | ლევერკუზენი – კიოლნი | 50-30-20 |
| 4. გერ. I | კაიზერი – უნტერჰახინგი | 60-30-10 |
| 5. გერ. I | დორტმუნდი – ვერდერი | 50-30-20 |
| 6. გერ. I | ჰერტა – ვოლფსბურგი | 40-30-30 |
| 7. გერ. I | ჰამბურგი – ბოხუმი | 60-30-10 |
| 8. გერ. I | ფრაიბურგი – ჰანზა | 40-30-30 |
| 9. გერ. II | მიონხენგლადბახი – ობერჰაუზენი | 60-30-10 |
| 10. გერ. II | როიტლინგენი – ნიურნბერგი | 30-40-30 |
| 11. გერ. II | ფიურტი – ულმი | 50-30-20 |

# სპორტული ლოტო №04

ტირაჟის შედეგები 04.02.2001

| ბურთი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 0 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 20 | 17 | 21 | 14 | 12 | 5 | 16 | 18 | 3 | 9 |
| ბურთი | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| [illegible] | 6 | 8 | 13 | 19 | 24 | 22 | 1 | 2 | 15 | 10 |
| [illegible] | | 10,000 ლარი | 1,000 ლარი | 100 ლარი | 30 ლარი | 10 ლარი | 5 ლარი | 2 ლარი | 1 ლარი | 2 ბილეთი |

[illegible] 4 7 11 23

[illegible]

ანი სისაური (გორი). მარინა ჩხაიძე (თბილისი)

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



**6 თებერვალი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია, I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ევრიკა. „მსოფლიო სპორტი“ (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი (15.20), ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის (20.05), ტაილანდური კრივი (1.15), ***ESPN.*** „რაგბის სამყარო“ (9.00), ცხენოსნობა. დაიჯესტი (9.30), კალათბურთი. ნბა (10,00, 16.00, 18.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები: მსოფლიო ჩემპიონატი. სამთოთხილამურები (11.30, 14.30, 1.30), ბიატლონი (15.00, 19.45), მსოფლიო თასი. ციგაობა (21.00), ციგურებით სწრაფრბენა (22.00), კრივი (23.30), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13,15, 21.10, 23.40), გერმანიის (16.30), ჰოლანდიის (17.30), შოტლანდიის (19.30), ესპანეთის (21.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**7 თებერვალი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (20.00), ***მე-9 არხი.*** ევრორპის სადიონებზე (14.35, 20.00), ***НТВ плюс спорт.*** ფიგურული ციგურაობა მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის (20.35), ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.30), კალათბურთი. ევროლიგა (23.25), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (8.50, 12.00, 15.00, 19.00, 1.00), „რაგბის სამყარო“ (10.30). ***EUROSPORT.*** მაგიდის ჩოგბურთი, ევროპის ჩემპიონთა ლიგა (12.30), ზამთრის სპორტის სახეობები: მსოფლიო თასი (13.30, 19.30), მსოფლიო ჩემპიონატი. სამთოთხილამურები (20.30, 23.00, 1.30), ბიატლონი (15.00, 22.00), ველორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00), ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (0.30), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (13,15), შოტლანდიის (14.05), საფრანგეთის (16.15), გერმანიის (18.00), ჰოლანდიის (20.00), იტალიის (21.45) ჩემპიონატები და მიმოხილვა. „მუნდიალი“ (15.45), ჩემპიონთა ლიგის წინ (23.40).

**8 თებერვალი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (21.10), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.40), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროლიგა (11.40, 23.25), ფიგურული ციგურაობა, მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალთა შორის (13.05), ბილიარდი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.35), „ბილიარდის მეფეები“ (18.25), კალათბურთი: ნბა-ს მიმოხილვა (19.30), სუპერლიგა, ვაჟები (20.55), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 9.00, 15.00, 2.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები: მსოფლიო პირველობა (11.30, 18.30, 3.15), მსოფლიო თასი (15.30, 17.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის წინ (23.00), ფეხბურთი: „ერთი მსოფლიო – ერთი თასი“ (0.30), გერმანიის თასი (2.15), ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (19.20), იტალიის (15.45), საფრანგეთის (22.40), ესპანეთის (1.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის წინ (16.35, 23.20), „მუნდიალი“ (22.10).

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებენ ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს სიმონ მაისურაძეს დედის გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ახმეტის რაიონის სოფ. ჩიბინანში, 10 თებერვალს, 14 საათზე.

საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს წარსულში ქართულ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ქართული ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის სიმონ მაისურაძის დედის გარდაცვალების გამო..

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს სიმონ მაისურაძეს დედის გარდაცვალების გამო.

# კროსვორდი №10



**A**

**თარაზულად:** 1. ფორმულა-1-ის ავტოდრომი იტალიაში, 3. უკრაინული საფეხბურთო გუნდი, რომლის სტუმრობისას თბილისში მოხდა ინციდენტი, 5. ქართველი ძალოსანი, 7. ჰოლანდიის მეორე დივიზიონის საფეხბურთო კლუბი, 8. ბელგიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 9. ცრუ მოძრაობა, ხრიკი სპორტულ თამაშებში, 11. სახელგანთქმული უკრაინელი ჰოკით მხტომელი, 13. „მილანის“ ნახევარმცველი, 14. რუსთავის საკალათბურთო გუნდი, 15. ჰოლანდიაში მოთამაშე პოლონელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 2. მოძრაობა ძალოსნობაში, 3. ქართველი ფეხბურთელი, მეკარე, 4. მომავალი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 5. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი. 6. სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი, 9. ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 10. შეფასება ძიუდოში, 11. ილეთი ჭიდაობაში, 12. ფორმულა 1-ის პილოტი.

**B**

**თარაზულად:** 1. მძლეოსნური იარაღი, 3. პორტუგალიის კლუბი, 5. რუსი საფეხბურთო მწვრთნელი. 7. 1962 წლის მუნდიალის ერთ-ერთი მასპინძელი ქალაქი, 8. ხერხი სპორტულ თამაშებში, 9. მოძრაობა ძალოსნობაში, 11. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 13. ბულგარეთის საფეხბურთო ნაკრების ცენტრალური მცველი, 14. „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელი, 15. თანამეგობრობის საფეხბურთო ტურნირის სპონსორი.

**შვეულად:** 1. რუსთაველი კალათბურთელი, 2. ნიგერიელი ფეხბურთელი, 3. ფიგურა ჭდრაკში, 4. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 5. 1990 წლის მუნდიალის რჩეული ბომბარდირი, 6. ხონის საფეხბურთო კლუბი, 9. მოძრაობა ძალოსნობაში, 10. აზიის საფეხბურთო კონფედერაციის წევრი ქვეყანა. 11. ერთ-ერთი ილეთი სპორტულ თამაშებში. 12. არგენტინელი ფეხბურთელი, მცველი.

## №9 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 1. სკალა, 4. ბასბი, 8. ეტლი, 9. ლაიო, 10. ეშერა, 11. ლუზა, 12. „ზანა“, 14. სპიდი, 16. იურანი, 17. მაიერი, 18. როშტო, 19. ანანდი, 22. „ლიდსი“, 25. აკვრა, 27. „ალგა“, 28. ინსი, 29. რაშკა, 31. „ანცი“, 32. ლამა.

**შვეულად:** 2. კარტოზია, 3. ლემიე, 5. აიალა, 6. ბალავაძე, 7. ბარეზი, 13. ანი, 14. სირია, 15. იმოლა, 20. ნოა, 21. ნაგანო, 23. „დინამო“, 24. ილი, 26. ვოში, 30. ალი.

# საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

**№8-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. ლc7! მუქარა 2. ეh5X.
1. ...d6 2. ლ:c8X.
1. ...მd6 2. მ:d6X.
1. ...ეh1 2. მd4X.
1. ...კ:h4 2. g4X.
1. ...კ:f4 2. ლ:f4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.